

ქრონიკა




საქართველოს
წიგნების კავშირი

1934

ნ. 68560

№ 1-2



ს. ი. მ. გ. 5 0 6 0

საზოგადოებრივი კვება

საბჭოს საუკეთესო ამკარები



საუზმის მომზადება ტფილისის საზოგადოებრივი საკვების დეპოში.
ფოტო: გლაზკოვის.



კომუნისტური „ენი-უკენდ“-ს ერთ-ერთი საუკეთესო დამკვეთი ქალი ამხ. გოული-ჯავარ კიზი, რომელმაც სამუშაო დღის განმავლობაში შეკრიბა 58 კილოგრამა ბაზა.
ფოტო: ბუდამსის.

ლითონის კონსტრუქციის მარხანა


იტალური ჯივის ლიგონი აფხაზეთში



მე-17 პარტიკულარებისათვის ლითონის კონსტრუქციების ქარხნის მუშა ამხ. პეტროხოვა აიღო ვალდებულებათ შეაკეთოს მიღებიანი ღუმელების დეტალები გიპსის ჩამომდნობ ქარხნისათვის. სურათზე: ამხ. პეტროხოვი მუშაობის დროს.
ფოტო: სუდეკოს.



მცენარეთა მოშენების სრულიად საქავშირის ინსტიტუტი აფხაზეთში ითვსებს ახალ სუბტროპიკულ მცენარეებს. სურათზე: იტალიური ლიგონი.
ფოტო: რანიინის.



ლენინის აკლდამასთან

უზარმაზარ რიგში ვდგავართ წითელ მოედანზე და იანვრის ყინვით ვათოშილნი ვუცდით ლენინის „მიღების საათებს“.

მე, შორეულ ტფილისიდან მოსული,

ბაქოელი ლეგთავი, ჩემი განუყრელი თანამგზავრი, მაზხარაში მკიდროთ ჩასხმული, ნიკაპქვეშ შეკრული ბუდიონური ქულით, მოსკოვის ყინვით შემფოთებული რომ დაგბაგებს:

— სცივა ძმავ, სცივა.

ჩვენს წინ: დათვის ქურქში შეხვეული ვაჟკაცი, აღმოსავლურის სახისა.

ღონის ყაზახები, ბრგე და პირქუშნი.

ზონგოლის პატარა ქალები, ოქროსფერნი.

ჩალმიანი აზიელები, კასპის გაღმა მხარიდან.

კავკასიელი, ბუხარის მაღალი ძროწვრილი ქუდებით.

ადგილობრივი მკვიდრნი და უკრაინელები, ერთმანეთში ძნელად გასარჩევი.

და რამდენი კაციც, თითქმის იმდენივე ეროვნება.

დიდი ყოფილა საბჭოეთი, ბევრი მხარე, ბევრი ხალხი.



უზარმაზარ რიგში ვლადკვართ და უჩვეულო სუსხით დამზარალები ვუცდით ლენინის „მიღების საათებს“

რაღაც უფსკრულის დემილია.

ამოდენა მასსაში ჩურჩულიც კი არ ისმის; მხოლოდ ხანდახან გაიქროლებენ ავტომობილები მოედნის ყინვით გალიბულ ასფალტზე ჩუმად, მორიდებით, და მხოლოდ ხანდახან ჩამჭურჩულებს ბაქოელი ლევთავი, რუსეთის ყინვით შეშფოთებული რომ დაგდაგებს:

— სცივა ძმავ, სცივა.

მციოდა, მეც ძლიერ მციოდა, მაგრამ სიცივეს სად ვავექცეოდი ამხანაგო გამიდ, იგი მოსკოვის ყველა ქუჩას ჩასჭიდებოდა.

თოვს და ამოდენა ხმაურის ქალაქში ყოფილა ადგილი სადაც ისმის მისი ფარტენების შრიალი,

დადუმებული ვუცდით ლენინის „მიღების საათებს“.

ლენინი ახლა ათასეულ მნახველს ისტუმრებს, მოსულებს: ციმბირიდან, კალუგიდან, კავკასიიდან, აზიის ცხელ ქვეყნებიდან, მოსულებს ქვეყნის ყველა მხარიდან.

და არის რაღაც უსიტყვო საურბარი.

— მაგრამ გამიდ, ალბად იგი მაგიდასთან არ ზის, ტყავის სავარძელში; მისი მაგიდა გახსოვს? მოსკოვის მუზეუმში ვიხილეთ უსაქმურად მიდგმული.

— არ ეცმება ხაკისფერი ხალათი; მისი ხალათიც იქ გვიჩვენეს მინებიან ვანჯინაში, ჯოხზე გაკიდული, ორგან ვახვრეტილი კაპლანის ბრაუნინგით.

— მას არ სცივდის იქნებ, გამიდ, ამ ყინვაში; მისი პალტოც მუზეუმს ინახება, გაცრეცილი პატრონის სიცოცხლეშივე.

— არ იტყვის სიტყვას: მისი სიტყვა ჩემთან ინახება ტფილისში, შენტანაც ბაქოში.

მას შერჩა რაღაც უსიტყვო ენა, სიკვდილშიაც მაღალი და უეჭველი.

თოვს და ამოდენა ხმაურის ქალაქში ყოფილა ადგილი სადაც ისმის მისი ფარტენების შრიალი.

აი, შავს მარმარილოს გასარკულ კედლებში ამართული ლენინის სამარადისო ბინა.

გახსნეს კარები.

დაიძრა რიგი და ნელის ნაბიჯით ჩატარდნ წინწინ. მიგვილო ჩვენც.

ჩახურული, მძიმე და ადამიანისაგან თითქოს უსუნთქველი რამ ჰაერი გვიჩქარებს სუნთქვას.

შევედით. თბილა და აღარ დაგდაგებს გამიდ.

მაგრამ აღარ თავდება ეს კიბე და კოდახებუც მნახველისთვის თითქოს განგებ გამრავლებული, რომ უფრო სრულად აღიდგინო ლენინი, შეკრიბო მხარი ყოველი, რაც მასზე ოდესმე დაგდაგებია.

ყოველ კუთხეში მოელი მის გამოჩენას, იგი იქნება უსუნთქველად მძინარე, იმგვარის სახისა, როგორც ქართული მხატვარის სურათში მინახავს — ქართული იერის, ან იქნებ იმგვარის, ჩემს თანამგზავს რომ თან აქვს, შავის წვერებით — თურქული იერის, ან იქნებ ისეთი, მოსკოვის მუზეუმში რომ ვნახეთ ტაჯიკისტანელ გლეხის მიერ ხორბლეულის მარცვლით ნაქარგი — აღმოსავლურის სახისა?

მებადება გრძნობა: ადამიანის სიმაღლის, სიამაყის, გამარჯვების, ბრძოლისა და თავგანწირვისა.

გათბა და აღარ დაგდაგებს გამიდ.

აღარ თავდება ეს ხვეულებიც. არ ჩანს ლენინი.

უეცრად შავონდება არა ერთხელ მოსმენილი სიტყვა ლენინის შესახებ: — „ლენინი არ არის, მაგრამ იგი ჩვენშია, ყველა ჩვენგანში“. აი აქაც არა ჩანს ლენინი და თითქოს ეჭვდები: — ხომ არავინ გეტყვის, რომ ლენინი აქაც არ არის, რომ იგი შენშია, შენს ბაქოელ თანამგზავრში?

ეს მეც ვიცი, მაგრამ მე მინდა თვითონ ლენინი. მისი სახე ხორციელი, რომლის ხატებაც ქვეყნის ყოველ კუთხეს თავს დასტრიალებს; მისი ბაგე ხორციელი, რომელმაც სთქვა, და მისი მარჯვნი, რომელმაც დასწერა ადამიანთა ახალი ისტორიის შესავალი.

აი ლენინიც. უდიდესი მებრძოლი და გამარჯვებულ მოაფლიოს ჩაგრული ხალხისათვის, მთაში წასული და გაურცლებული.

კრილა ბროლით დახურულ საწოლში წევს, უსუნთქველად მძინარე.

— სცივა ძმავ, სცივა — კვლავ ახვდაგდა გამიდ!

მაგრამ იქ არ სციოდა, მარტო სუსხი არ არყევს სხეულს.

ჩვენ ვნახეთ ლენინი.

1933 იანვარი.

ირაკლი აბაშიძე

მ მ ც ხ რ ე შ რ ი ლ ო ბ ა

საქართველოს ბოლშევიკების მეცხრე ყრილობაში ამ დღებში დაამთავრა მუშაობა, საბჭოთა საქართველოს ყოველი კუთხიდან, ქარსხენიდან, ფაბრიკიბიდან, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებიდან, ჩაის და ციტრუსების პლანტაციებიდან, ქვანახშირის მალარობისა, შირაქის ნავთის სარეზერვუარიდან ლაპარაკობდნ ამ ყრილობაზე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა წარმომადგენლები, ლაპარაკობდა გამარჯვების ციფრები. მე-9 ყრილობა წარმოადგენდა ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ანხ. სტალინის გარემოთ საქართველოს ბოლშევიკების შემოქმედებისა და ერთეულად ლენინის საუკეთესო დემონსტრაციას. ყრილობის ყოველი დღევეტის სიტყვა, ყველა მოსამბება და პატაკი, რომელიც ყრილობაში მიიღო, გაუღწეული იყო იმ

დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმის ცეცხლით, რომელიც დანთებულია ჩვენს ქვეყანაში. ადამიანები ლაპარაკობდნ საქმეზე, ლაპარაკობდნ საქმიანად, ციფრებთ ხელში, ისინი ყრილობას და მთელ რედაქციას აცნობდნ თავიანთ მიღწევებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. ქვემოთადა დიდა ჩვენი მიღწევები უქანასქნელი ორი წლის განმავლობაში. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ჩვენთვის ისტორიული დადგენილება წარმოადგენდა იმ სამუშაოთა დიდ პროგრამას, რომლის განხორციელების საფუძველზე ამხ. სტალინის უშუალო დახმარებით გაიმარჯვეს საქართველოს ბოლშევიკებმა. ქვეყნის ცხოვრების ყველა დარგში ჩვენ მიედიდებართ წინ, მიედიდებართ ზევით, მიე-

დიდებართ საბოლოო გამარჯვებისაკენ განუხრებლად. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენდა ანხ. ლ. ბერძან მეტათ მინარსიანი მოხსენება საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე; აგრარულ ინდუსტრიულიდან საქართველო ნამდვილად გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად; თუ 1931 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის ზედერთი წონა სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 46 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის 54 პროცენტს, 1933 წელს მრეწველობის ზედერთი წონა შეადგენდა 59,8 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობის 40,2 პროცენტს. მარტო 1933 წელს მრეწველობასა და ელექტროფიკაციაზე კაპიტალურ მშენებ-



ნ. კ. ბ. (ბ) ა. კ. სან. კომიტეტის

ტი პური აქვს. მან აიშენა სამ ოთახააი სახლი, შეიძინა საოჯახო ნივთები, მიიღო 150 მეტრი მანუფაქტურა და სხ.

დასავლეთ საქართველოში ფართოდ შეიძლება განვითარდეს ციტრუსების მეურნეობა. ამხ. სტალინმა მოგვცა დადგენილი ფართოდ გაეკავებოთ მანდარინი, ფორთოხაბალი, ლიმონი და სხვა ციტრუსები, 1937 წელს მივეცა ქვეყანას 500 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი. აფხაზეთი, აჭარისტანი, კოლხიდას დაბლობი, რომელიც მალე იქნება ამოშრობილი წარმოადგენს იმ რაიონებს, სადაც ფართოდ განვითარდება ციტრუსების მეურნეობა. მიუღმა ჩვენმა კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა უკვე სერიოზულად მოკიდეს ხელი ციტრუსების განვითარებას, რადგან საკუთარ მაგალითზე დარწმუნდნენ ამ მეურნეობის რენტაბელობაში. აი მაგ. კოლმეურნე ექვთიმე ნაკაძე (სუფსა). საქართველოში ნაკვეთზე მას 120 ძირი მანდარინი უდგას. 1933 წელს მან შეაგროვა 30 ათასი ცალი მანდარინი და ამაში მიიღო 5,500 მანეთი. შაქრ ბერიძემ (სოფ. მახანჯაურის მესობერბი) 1933 წელს სახელმწიფოს ჩაბარა 200 ათასი ცალი მანდარინი და 19 ათასი ცალი ფორთოხაბალი და მიიღო იმაზე 24 ათასი მანეთი და ათასი კილო ხორბალი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სწრაფ და რეგულაციურ მოპოვებულ თიხი მიღწევებზე წარმოადგინს დასაწყისს იმ დიდ ბუნებრივ შესაძლებლობათა გამოყენებისას, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის პირობებში მოიპოვება. ექვი არა იო ვეტერი ყრილობა ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგინდა, რომ საქართველოს ბოლშევიკებმა შესძლებდნენ ამ ბუნებრივ შესაძლებლობათა მიზანშეწონილად გამოყენებას და საბჭოთა საქართველოს მაღალ გადააქცივენ სუბტროპიკული კულტურების, ციტრუსების ბალკისპოლიკად.

ყრილობამ განსაკუთრებით აღნიშნა თვალსაჩინო მიღწევები კულტურული მშენებლობის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნის ფარგლებში. ახალი პარტულური ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღებ...

ლტის და მზრუნველობის შედეგად კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 4 რილის ისტორიული დადგენილებების ფუძველზე, საქართველოს საბჭოთა მეურნეობამ განსაზღვრა ფართოდ შენობა-ნაგებობების მუშაობა, მწერალთა აქტივი გულწრფელად და მუშაობაში და სოციალისტურ მშენებლობაში. ყველა ეს მიღწევა ღირსეულ ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგია, იგი შედგება მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის მიერ რიგობილი ბრძოლის.

იდეოლოგიურ ფრონტს მე-9 ყრილობა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს ყრილობამ მთელი პარტორგანიზაციის კოლსოზობივი სიფხზოლემ მიმართა პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციის წინაშედ. საქმი იმავია, რომ მთავრობის კომისიის ინიციატივების ნაშრომებში და შედგენილი სერიოზული პოლიტიკურ-ისტორიული შუამდგომლობები საქართველოში რევოლუციონერი მოძრაობის ბოლშევიზმის ჩასახვის და განვითარების და ამ საქმეში ამხ. სტალინის როლის ირგვლივ. არ უნდა დავივიწყოთ რომ ამხ. სტალინმა ჩაუყარა საფუძველი ბოლშევიზმს საქართველოსა და აზიურ კავკასიაში, მისი ხელმძღვანელობით იქვედ ბოდა რევოლუციური მარქსიზმი ჩვენში. მისი ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ ბოლშევიზმის კადრები. პარტულური ისტორიკოსების უმთავრესი ამოცანა, როგორც ეს ყრილობამ აღნიშნა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად გააშუქონ ამხ. სტალინის როლი საქართველო რევოლუციურ მოძრაობაში და გააძლიერონ ბრძოლა პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციის ენაველგვარ ცდებს წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკების მეცხრე ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა ერთხმად მოიწონა. მჭიდროდ დარაზმულნი ლენინური ცენტრალური კომიტეტის და ამხ. სტალინის ირგვლივ, საქართველოს ბოლშევიკები შეუდგნენ მდგომარეობის განსწავლეს, სტალინურ მუშაობის დიდ სამუშაო ბრძოლაში გამოსარყველებს.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ПОСЛЕДНЕЕ ПОДРОСЬЕ
В.И. ЛЕНИНА
БЛИЗ С. СЕСТРОРЕЦК.
- 17 ИЮЛЯ 1917г.

ვ. ი. ლენინის უკანასკნელი არალეგალური ადგილი სად. სესტრორეცკ მახლობლად 1917 წ. 17 ივლისს.

ლ ე ნ ი ნ ს

ბ. ჭუჩიუვილი

1

შენ მაშინ მოხველ,
როცა ქვეყანას
ჰფლობდენ,
მართავდენ
მებრძოლთა მკლავებს
ხიმტით,
მათრახით;
როცა მონობა
იყო ყველგანა
და გაჩენის დღეს
სწყველიდა ხალხი.
იღვა ცრემლის ზღვა
და ყრუ ვაგლახი,
ყეყეჩი მეფე
მართავდა ლხინსა
და დედოფალი
ვნებურ ცანცახით
შხეც რასპუტინთან
იკლავდა ჟინსა.

ბორკილი ხრავდა,
სიმაართლის მთქმელთ-კი
ადებდნენ კლიტეს;
შათაც,
რომელთაც
ხელმწიფე სწამდათ, —
ტყვიებით შეხვდენ
და ამოჟლიტეს.

2

შენ მაშინ მოხველ,
და მოსვლა შენი
უდაბნო ველთა
გრიგალსა ჰვავდა;
დათვლილი ჰქონდა
ძველ რუსეთს დღენი,
როცა ზღვა-ხალხი
რისხვით ბორგავდა.
მშრომელ მასების
სტიქიურ დღევს

მიუცი გეზი.
გეგმა და ფორში;
ოქტომბრის ღამით
გვესროლე ელვა
და გადიქროლე
ვით მეტეორმა.
თითქოს ჩვენც მოცკვლით
შენი სიკვდილით,
თითქოს შეჩერდა
დრო-ჟამის ქროლა,
მაგრამ კვლავ ვცოცხლობ
უკვდავო ილიჩ
და ჩვენც სტალინით
განვავარძობთ ბრძოლას.
ვიდრუმდის ყველგან
არ გაიმარჯვებს
პარტია შენი;
პარტია,
რომლის ფოლადის რიგებს
ბელადობს,
ვინც შენ დასტოვე ლენინ.

აგს. ლენინის ცხოვრების მართანი

ბრძოლის
გაგონების

1870 წ. 10 აპრილს სიმბირსკში დაიბადა ვლადიმერ ილიჩი.

1862 წ. 12 იანვრს გარდაიცვალა ვლადიმერ ილიჩის მამა ი. ნ. ულიანოვი — სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ორგანიზატორი.

1837 წ. 8 მაისს ჩაიბარეს ვლადიმერ ილიჩის ძმა ა. ი. ულიანოვი, რომელიც აწყობდა ალექსანდრე მესამეს მოკვლას.

ვლადიმერ ილიჩმა დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია და შემოდგომაზე შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში.

1888 წ. 5 თებერვალს გამოიცხეს უნივერსიტეტიდან სტუდენტების მღელვარებაში მონაწილეობისათვის, და გადასახლეს სოფ. კუშუნიოვი, (ყაზანის გუბერნია.)

ივლისი. ვლადიმერ ილიჩს უარი უთხრეს უნივერსიტეტში ხელახლა მიღებაზე.

სექტემბერი. ვლადიმერ ილიჩს პოლიციამ აუკრძალა საზღვარ-გარეთ გამგზავრება,

1888 — 89 წ. ვლადიმერ ილიჩი ყაზანში.

1889 წ. ზაფხული გამგზავრება სამარაში.

1891 წ. ექსტრენათ ჩააბარა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1893 წ. ცხოვრება სამარაში.

მარქსისტების პიველი ჯგუფი სამარაში:

„ვ. ი. ულიანოვი, ა. ი. სკლიარენკო ი. ნ. ლალიანი“.

შემოდგომაზე გამგზავრება პეტერბურგში.

1894 წ. ვ. ი. პირველი ნაშრომი არალეგალური ბროშურა: „ვინ არიან ხალხის მეგობარები და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს“.

ვ. ი. შედის სოციალ დემოკრატების წრეში პეტერბურგში „ცენტრალური ჯგუფი მუშათა მოძრაობის“ სახელმძღვანელოდ.

ლენინი ხელმძღვანელობს მუშათა ჯგუფს „კრიტიკოს ნავთსადგურში“.

1895 წ. აპრილი. ლენინი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც კავშირი დაიჭირა პლენანოვსა, აქსელროდსან და ზასულითან.

სექტემბერი. ლენინი ბრუნდება საზღვარ-გარეთიდან და აწყობს „მუშათა განთავისუფლებისათვის მებრძოლ კავშირს“.

9 დეკემბერს ატუსაღებენ „კავშირს“ ლენინი ციხეში.

1896 წ. ციხე.

ლენინი ციხეში წერს წიგნს „კაპიტალიზმის განთავისუფლება რუსეთში“.

1897 წ. 29 იანვრს სასამართლოს გამოაქვს განაჩენი ლენინის საქმის გამო, მას სამი წლით ასახლებენ ენისეის გუბერნიაში სოფ. შუშენსკოვში.

1898. გადასახლებაში ცხოვრება.

ლენინს ირჩევენ „რაბოჩაია გაზეტა“-ს, პარტიის ოფიციალურ ორგანოს, რედაქტორათ.

1899 წ. გადასახლება.

1900 წ. იანვარი. დაბრუნება ვლადსახლში ადგილიდან. ლენინს სამი კვირით ატუსაღებენ პეტერბურგში.

16 ივლისი. საზღვარ-გარეთ გამგზავრება. ლენინი მოლაპარაკებას აწარმოებს „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან“ შვეიცარიაში.

მიემგზავრება მიუნჰენში და იწყებს „ისკრა“ს გამოცემას.

1901 წ. ლენინი ხელმძღვანელობს „ისკრას“-ს.

1902 წ. ლენინი კითხულობს ლექციებს „სოციალურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში“ პარიზში.

1903 წ. ლენინის ინციატივით სოციალ-დემოკრატებმა უარი უთხრეს ლიბერალებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო ჟურნალის გამოცემაზე.

რ. ს. დ. მ. პ. მელიქიძე ქრილობა

1903 წ. ლენინი ყრილობაზე ატარებს რევოლუციონური მარქსიზმის ხაზს.

განხეთქილება პარტიაში: ბოლშევიკები და მენშევიკები.

ლენინი მეთაურობს ბოლშევიკებს.

ლენინს ირჩევენ ც. კ. პარტიის საბჭოთა და ცენტრალური ორგანოს „ისკრა“-ს რედაქციის წევრად.

1 ნოემბერი. ლენინმა პლენანოვის საქციელს (გადავიდა მენშევიკების მხარეზე) უპასუხა. „ისკრა“-ს რედაქცია და პარტიის საბჭოდან გამოსვლით.

1904 წ. ლენინი ც. კ. წევრი.

ლენინი გამოდის პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან.

ლენინი ხელმძღვანელობს აგიტაციას მესამე ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ, ვინაიდან მენშევიკები და არღვიეს პარტიის უმრავლესობის დადგენილებები და ნება.

დეკემბერი. ლენინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკების ორგანოს „ვპერიოდ“.

1905 წ. არჩევნები მესამე პარტიულ ყრილობის მოსამზადებლად; გაზ. „ვპერიოდის“ ხელმძღვანელობა.

მაისი. რ. ს. დ. მ. პ. მესამე ყრილობა.

ინტენსიური მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში.

ლენინი მეთაურობს პარტიის ც. კ. და „პროლეტარი“-ს.

ავვისტო-სექტემბერი. ლენინი აგიტაციას ეწევა „ბულიგინის“ სათათბიროს ბოიკოტის, აჯანყების და თვითმპყრობელობის დამხობის სასარგებლოდ.

სექტემბერი-ნოემბერი. ლენინი ბრუნდება რუსეთში ხუთი წლის ემიგრაციის შემდეგ.

„შეიარაღებული აჯანყების“ პროპაგანდა და მომზადება. ლენინი მიემგზავრება მოსკოვში.



სურათზე: ვ. ი. ლენინი სოფ. გორკამი 122 წ. (ზაფხულის ბოლო) ამოდებულა 1933 წ. გამოქვეყნებული სურათბაღან.
სურათი ვკუთენისკ მაოქს-ენველს-ლენინის ინსტიტუტს.

ლენინი პეტერბურგში აგიტაციას ეწევა, რომ პეტერბურგის მუშებმა მხარი დაუჭირონ აჯანყებას მოსკოვში.

1905 წ. აპრილი. რ. ს. დ. ნ. პ. მეოთხე გაერთიანებული ყრილობა სტოკჰოლმში.

გაცხოველებული მუშაობა გაერთიანებულ ყრილობაზე.

ლენინი მოხსენებებს აკეთებს სხვადასხვა საკითების შესახებ.

ყრილობის შემდეგ ვ. ი. ბრუნდება რუსეთში და მეთაურობს პარტიის ბოლშევიკურ ფრთას.

ივლისი. ლენინს კავშირი აქვს სვეაპორგის და კრონშტადის აჯანყების ორგანიზატორებთან და იღებს ზომებს მოძრაობის პეტერბურგში გადასატანად.

ლენინი სცემს და რედაქტორობს ბოლშევიკების არალეგალურ ორგანოს „პროლეტარი“-ს და სასტიკ ბრძოლას აწარმოებს მენშევიკებსა და ესერებთან.

ნოემბერ-დეკემბერი. სასტიკი ბრძოლა „რაბოჩე. სიეზდოვცებთან“, „ბლოკისტებთან“ კადეტებთან და მენშევიკების და პლეხანოვის ოპორტუნისტულ ტაქტიკასთან.

ლენინი იმუშავებს ბოლშევიკების პლატფორმას საარჩევნო კომისიაში მონაწილეობის მ საღებათ.

1907 წ. მხარს უჭერს არჩევნებს მეორე სახელმწიფო სათათბიროში და მონაწილეობის მიღებას მათში (ლიბერალების ნაროდნიკული ჯგუფების და მენშევიკების სამხივებლად).

ლენინი ხელმძღვანელობს ბოლშევიკ დეპუტატებს სათათბიროში.

აპრილ-მაისი. რ. ს. დ. მ. პ. მეხუთე ყრილობა ლონდონში. ლენინი ენერგიულ მონაწილეობას იღებს ყრილობის მუშაობაში.

ივლისი ყრილობის შემდეგ ლენინი ბრუნდება რუსეთში.

ლენინი ფანლანდიაში (კუოკალა)

ლენინი საერთო-პარტიულ კონფერენციაზე მხარს უჭერს არჩევნებს მესამე სახელმწიფო სათათბიროში.

აგვისტო, ლენინი მეორე ინტერნაციონალის შტუტგარდტის კონგრესზე.

ლენინის და როზა ლიუქსემბურგის თეზისები;

„თუ იფეთქა იმპერიალისტურმა ომმა, უნდა დაიწყოს სოციალისტური რევოლიუცია“.

ლენინი მეორეთ მიმგზავრება საზღვარ-გარეთ (მეორე ემიგრაცია 1907 — 1917 წ.)

1908 წ. ლენინი ჟენევაში. წერილების კრებული „3ა 12 лет“.

აგვასტო. გამგზავრება ლონდონს.

გალაშქრება ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის და ბაზაროვის „ემპირიოკრიტიციზმის“ წინააღმდეგ.

1908. 21 დეკემბერი. ლენინი მონაწილეობას იღებს დეკემბრის კონფერენციაში. ლენინი გააფრთხილებს ებრძვის „ლიკვიდა „ორობას“ და „ოტზოვანს“.

1909. ლენინი პარიზში.

მაისი. ბოლშევიკების კონფერენცია პარიზში. განხილვა „ოტზოვის ტებთან“. დაახლოვება პლებანოვთან ლიკვიდატორებთან ბრძოლის ნიადაგზე.

„მარქსიზმი და ენპროლოკოტიციზმი“ ლენინის შრომა „ეპირიკოი იკების“ წინააღმდეგ.

დეკემბერი. ლექციები კუნძულ კაპრიზე მოწყობილ სკოლაში.

1910. ლენინი ცხოვრობს პარიზში. მუშაობა ც. კ პლენუმში.

გაგზავნა მეორე ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესზე. ლენინი მუშაობს კოპერატიულ კომისიაში.

ნოემბერი. ლენინი სცემს „რამოზია გაზეტა“-ს.

1911. ლენინი წინადადებას იძლევა კონფერენციის მიწვევის და ახალი ცენტრალური კომიტეტის შედგენის შესახებ.

ზაფხული. ლენინი კითხულობს ლექციებს პარტიულ სკოლაში.

1912. ლენინის მუშაობა პარტიის აღსადგენად.

ლენინი მუშაობს პარიზის კონფერენციაზე და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

9 მაისი. მოხსენებას აკეთებს რ. ს.-დ. მ. პ. საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციაში.

ივლისი. ლენინი პარიზიდან მიემგზავრება გლიციაში (ახლო რუსეთის საზღვართან, რომ უკეთესად უხელმძღვანელოს რე ოლუციონურ მოძრაობას).

ლენინი თანამშრომლობს გაზეთებში: „სოციალ-დემოკრატ“, „პრავდა“, „ზევზდა“, „ნევსკაია ზევზდა“ და ჟურნალში „პროსვეშჩენიე“.

1913. ლენინი მსურველად მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების ც. კ. მთელ რიგ თათბირებში (კერძოდ, აგვისტოში).

ვ. ი. ხელმძღვანელობს სათათბირო „ხუთეულის“ მუშაობას.

ბრძოლა მუშათა კლასის „შეუკვეცავი“ ლოზუნგებისათვის. მუშაობა „პრავდაში“ და „პროსვეშჩენიე“-ში.

ლითონზე მომუშავეები მისალოც დეპუტატ უგზავნიან ლენინს, როგორც „მუშათა კლასის ჭეშმარიტ ბელადს“.

1914. ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან პარტიისათვის.

მუშაობა „პრავდა“-ში, „პროსვეშჩენიე“-ში.

ომის გამოცხადება ლენინს უსწრებს გალიციის მიყრდნულ სოფლებში. აგვისტოს მთავრობა ატუსაღებს ლენინს და ორი კვირით ათავსებს ციხეში.

ვ. ი. მიემგზავრება შვეიცარიაში.

ლენინის თეზისები ომის შესახებ: „იმპერიალისტური ომი უნდა გადაიქცეს სამოქალაქო ომად“.

ბრძოლა „სოციალ-შოვნიზმთან“ და „ობორონცებთან“

1915. ბრძოლა „სოციალ შოვნიზმთან და იმპერიალისტურ ომთან ვ. ი. მუშაობს „სოციალ-დემოკრატ“-ში.

ვ. ი. მუშაობს შვეიცარიელ მუშებს შორის. ლენინი მსურველად მონაწილეობას იღებს ბოლშევიკების საზღვარგარეთის სექციის ბერნის კონფერენციაში.

მუშაობა რევოლუციონური სოციალ-დემოკრატების კლუბის ორგანიზაციისა და გაერთიანებისათვის.

(ბოლშევიკების საზღვარ-გარეთის სექციის მეორე კონფერენცია, მოსამხადებელი კონფერენცია 11 ივლისს ბერნში).

5 — 8 სექტემბერი. ციმპერვალდას კონფერენცია.

ლენინი — მემარცხენე ფრთის მეთაური. შეტაკება ლედებურთან.

1916 ლენინის მუშაობა ბერნის თათბირში — 5 — 8

ივლისს, კინტალის კონფერენციაში 24 — 30 აპრილს (მემარცხენე ოპოზიცია ლენინის მეთაურობით). ლოზუნგები; სასურათო ზოგების მიღება ომის ლიკვიდაციისათვის; საყოველთაო გაფიცვა, საბოტაჟი, შეიარაღებული აჯანყება; იაპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად.

თებერვალი. ლენინის გამოსვლა რაკოვსისთან ერთად სოციალისტების მიტინგზე ბერნში.

(ომის შემდეგ პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობა არსებული კაპიტალისტური წყწყობილობის წინააღმდეგ).

ლენინის მოხსენებები ბერნში და ციურხისში 1916 წ. პირველ ნახევარში.

1. საჭიროა რ. ს.-დ. მ. პ. აგრარული პროგრამის გადასინჯვა „მუნციპალიზაცია“ უნდა შეიცვალოს „ნაციონალიზაცია“. 2 სოციალ-დემოკრატების ახლობელი ამოცანები რუსეთში.

ლენინის წერილი პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს სესიის განახლების და იქ დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდების წინადადების შეტანის აუცილებლობის შესახებ.

რევოლუციონური ინტერნაციონალიზმის იდეების პრობაგანდა შვეიცარიელ მუშებს შორის.

ვ. ი. უშვებს ციურხისში ჟურ. „ფორბოტე“-ს სამ წიგნს.

1917. ლენინი თითქმის ათი წლის ემიგრაციის შემდეგ ბრუნდება რუსეთში.

პირველი მიმართვა მასებისადმი და ლოზუნგი: გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას.

4 აპრილი. ლენინის „თეზისები“.

22 მაისი. სიტყვა მუშათა და გლეხთა დეპუტატების პირველ ყრილობაზე.

ივლისი. ლენინის გამოვლა სრულიად რუსეთის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველ ყრილობაზე, („შევაწვდით კაპიტალისტები“).

„პრავდა“-ს დარბევა.

ბრძანება ლენინის დატუსაღების შესახებ.

ივლისი. ლენინი კვლავ იძულებულია 4 თვე გაატაროს არალეგალურად ვიბორგის მხარე და ფინლიანდიაში. ლენინი „იატაკ-ქვეშიდან“ განაგრძობს პარტიის ხელმძღვანელობას და მონაწილეობას იღებს ბოლშევიკურ პრესაში.

იგლისი. რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) შეეჯესე ყრილობა. მთავარი ამოცანა არის კერენსკის ჩამოგდება, ომის ლიკვიდაცია და სოციალისტური მშენებლობის დაწყება.

ე. ი. ლოზუნგი: „საბჭოთა ძალაუფლების, რაც შეიძლება დაჩქარებით ხელში ალდება, თორემ გვიანი იქნება“. წირილი პარტიის ც. კ. „Довольно тянуть каникулы. Нужно окружить войсками Александровку, разогнать всю шваль и взять власть в свои руки“.

ლენინი „თვითნებურათ“, — (მას ყოველ წამს დატუსაღება მოელის), გამგზავრება პეტროგრაღში აჯანყების მოსწყობად.

ოქტომბრის ჩამოღობა

25 — 26 ოქტომბერი. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების მიერ ყრილობა.

ლენინის სიტყვა ყრილობაზე. მეორე ყრილობა ლენინის წინადადებით ადგენს: ზავი დაუყოვნებლივ და მიწა გლეხებს უსასყიდლოთ.

სახალხო კომისართა საბჭო ე. ი. ლენინის შემოქმედებით.

1918 წ. ლენინის სახალხო კომისართა საბჭოს წევრებთან ერთად მოსკოვში გადმოდის.

30 აგვისტო. ესერების პარტიის წევრი თავს ესხმის ლენინს.

1919 — 20 21 — 22 წ.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის უცვლელი ხელმძღვანელი.

1922 — 23 წ.

ვლადიმერ ილიჩის მძიმე ავადმყოფობა.

ოკრი თავდასხმა ლენინზე

ალ. სულავეა

კაცობრიობას ახსოვს მრავალი გენიალური ადამიანის სახელი, მაგრამ ყველა ამ სახელებს შორის ლენინის სახელი მწვერვალის სიღმაში ამარცხული.

ის რაც ოქტომბრის რევოლუციიდან დღემდე გაკეთდა ჩვენს ქვეყანაში — ლენინის უდიდესი ტოიუმფი: ამ კამარჯვებათა ტრითა ხელმძღვანელია დღეს ამხ. ლე-

ლენინის შემქნელის — ამხ. ვლადიმერ ილიჩის სახელი.

ვლ. ილიჩი მსოფლიო მუშათა კლასათვის უკვდავი და უსაყვარლესი ბელადია და რამდენაღ რგი უყვარდა იმათ, ვისი ინტერესებისათვის იგი თავისი ახალგაზრდობის დღეებიდან სიკვდილამდე იბრძოდა, იმდენად სძულდათ მუშათა კლასის მტრებს.

მუშათა კლასის მტრების გავლულებისა და გაბოროტების უდიდეს აქტს წარმოადგენდა კონტრრევოლუციონერებისა და შაგრაზმიელების მიერ ამხ. ვლ. ლენინზე მოწყობილი თავდასხმა.

მუშათა კლასის მტრებს თავიდანვე სძულდათ ლენინი, რომელიც გზას უკაფავდა მუშებსა და გლეხებს მოქალაქისაყენ, ასწავლიდა ბრძოლას და წინ მიუძღვებოდა მათ. რევოლუციის დღეებშივე 1917 წელს, როცა ლენინი ჩამოვიდა საზღვარ-გარეთიდან ლენინის წინააღმდეგ დიიწყეს გაფრებული ბრძოლა. უნდოდათ მისი დაპატიმრება და მოკვლა. შეპირდენ ოქროსა და ვერცხლს იმას, ვინც მოკლავდა ამხ. ლენინს.

ამხ. ლენინს დაუწყო ძებნა ათასგვარმა პროვოკატორმა და ბნელმა ადამიანმა. მაგრამ ამ დროს ამხ. ლენინი მარტო არ იყო, მას იცავდა მუშათა კლასი და მისი მეტრძოლი ბოლშევიკური პარტია. პარტიამ გადაწყვიტა ვლადიმერ ლენინის დროებით გადამსლვა ქალაქის გარეთ. ამისათვის გადააცვეს ლენინს მუშის ტანსაცმელი და დამსლეს საიმედო ადგილზე.


ეს იყო პერიოდი ინტენსიური, სამკვედრო - საციცოცხლო ბრძოლისა. პერიოდი მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში ალდების. ლენინი ამ

დროს გადაიმალა იმ საიმედო კარავში რომლის ისტორია დღეს ყველასათვის ცნობილია, ეს კარავი მამინ რევოლუციის ტვისს წარმოადგენდა, მასთან იყო დაკავშირებული ბოლშევიკური პარტია და რევოლუციის მაჯისცემა.

ლენინის მიერ ამ პერიოდში დაწერილი წერილები ბოლშევიზმის გენიალური სტრატეგიულ - ტაქტიკური მოქმედებათა პროგრამაა.

ეს წერილები უდიდესი ისტორიული აქტის, წინასწარმეტყველების დოკუმენტებია. ამ წერილებში მძაფრად ისმის დიდი ბელადის ხმა და ბრძანება.

სწორედ ამავ პერიოდშია დაწერილი მისი ერთერთი უმესანიშნევე-




სურათზე: სახლი ულდნოსკოში, სადაც 1870 წ. 22 პრილს (ძიილა სტილით) დაიბადა ე. ი. ლენინი.
ფოტო: სოიუზფოტო.

ნინის საუკეთესო მოწაფე — გენიალური ბელად ამხ. სტალინი. არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ისტორიის ისრის უკან მობრუნება.

ამ ძლიერების წყაროა მუშათა და გლეხთა კავშირის ურყველობა, მილიონების შემოქმედება, რომლებმაც განდევნეს კაპიტალისტები, მემამულეები და რომელნიც ახლა დიად და ნათელ ცხოვრებას აშენებენ.

ადამიანთა ათეული მილიონები, რომელთაც პირველად შექმნეს სოციალისტური სახელისუფლო, შეგნებულად ქმნიან თავიანთ ისტორიას, ამ ისტორიაში უშუალოდ ჩაქსოვილია



სახლი, სადაც მუშენსკოში და მისი მამა-მამები, სადაც გაატარა ლენინმა გადასახლების წლები. 17 გადასახლებულთა პროტესტი ეკონომისტთა „კრედო“-ს წინააღმდეგ.

ნესი წერილი „მარქსიზმი და აჯანყება“. ამ წერილში ლენინი სახავდა, ოქტომბრის რევოლუციის დიდი სტრატეგის განსკვრეტით წინასწარმეტყველებდა აჯანყების განსაზღვრულ დროს და შეტევის ხელგნებას.

„აჯანყებას რომ მივუღებთ მარქსის ტულად ვ. ი. როგორც ხელოვნებას, ჩვენ იმავ დროს, თვითიული წუთის დაუკარგავად, უნდა მოვაწყოთ აჯანყებულთა რაზმების შტაბი. გავანაწილოთ ძალები“ — სწერდა ლენინი ამ პერიოდში — „ალყა შემოვარტყათ ალექსანდრინკას, დავიჭიროთ პეტრე-პავლოვკა, დავაპატიმროთ გენერალური შტაბი. ერთბაშად დავიჭიროთ ტელეგრაფი და ტელეფონი“, და სხვ.

ლენინი ამ პერიოდში პირდაპირ სწერდა „დაყოვნება დანაშაულია. საბჭოების ყრილობისათვის ცდა-ბეშური თამაშია ფორმალობისა“, „ცდა



სურათზე: წარწერა მიხეილსონის ქარანის ალაყადის კარებთან, სადა 1918 წ. 30 ოქტომბერს ამხ. ლენინს ტყვეა ესროლა ვაჟი მა კაპლანის ქალმა

დანაშაულია რევოლუციის წინაშე“. და, აი ოქტომბრის რევოლუციის გადამწყვეტი დღისათვის იგი კონსპირატიულად ქალაქში იმყოფება და უშუალოდ იღებ მონაწილეობას რევოლუციის მოქმედებაში.

ასეთი იყო ლენინი და აშკარაა პროლეტარული რევოლუციის მტრები, პროლეტარული დიქტატურის დამყარების შემდეგაც არ მოსვენებდნენ.

მუშათა კლასის მტრებისათვის ჯერ კიდევ რევოლუციამდე ლენინი შეურიგებელი მტერი იყო. ამიტომ რევოლუციის დასაწყისშივე მიიტანეს მის წინააღმდეგ იერიშები, გაავრცელეს მის შესახებ ათასგვარი კორი, გადაწყვიტეს მისი მოკვლა. დაიწყეს ამისათვის მზადება და მუშაობამისი კვალის ძიება და კუთხიდან თვალთვალი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გაფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, თეთრგვარდიელებისა და მენშევიკური-ესერული პარტიის კონტრრევოლუციონური იერიშების მომენტში მართალია, ლენინი სპოლინში ცხოვრობდა და მას პარტია აქაც ფარულად ინახავდა, მაგრამ ლენინს ხშირად უხდებოდა მუშათა კრებებზე გამოსვლა, ამიტომ შესაძლებელი იყო კლასობრივ მტერს ესარგებლა ამ შემთხვევით.

კლასობრივმა მტერმა სწორედ ასეთ შემთხვევით ისარგებლა ორჯერ.

პირველი თავდასხმა ჯერ კიდევ პეტროგოადში მოხდა. მას არ შოუტაია რაიმე ზიანი. მეორე თავდასხმა მოხდა ოსკოვში, ოცდა ოცი წლის მძიმედ აქნა დაჭოილი ორი ტყვიით, რასაც მისი ხაზგარძღვი ავადმყოფობა მოჰყვა.

ლენინზე კონტრრევოლუციონური თავდასხმის პირველ მეთხვევას ადგილი ქონდა 1910 წელს. ლენინს სპოლინდას ქალაქში შოუხდა გასვლა. მას მოსთეებდა უნდა გაეკეთებია ქალაქის დიდ ციოკში, ოფიცრების ორგანიზაცია, რომელიც ლენინზე თავდასხმას აწყობდა, ამოძოვდა, ისიი მგლებივით უდარაჯებდნენ ლენინის ციოკის შეხიიდას გასოსვლას, გადაწყვეტილი იყო ლენინის მოკვლა ბოიიი.

მაგრამ სწორედ იმ მომენტში ამ გეგმის განხორციელება მათ ვერ შესულეს. ის ვისაც დავალებული ქონდა იომბის სროლა, ავტოს დანახვის დროს შედრკა. სამაგიეროდ სხვებმა ესროლეს რევოლუციიდან ტყვიები. ლენინი ამ შემთხვევაში ხიფათს გადარჩა.

ლენინზე თავდასხმელები დაპატიმრებული იქნენ. მათ ორგანიზაცია აღმოაჩინეს. და აი, როცა ირჩეოდა საქმე მათი ბოროტმოქმედების შესახებ, უცებ რევოლუციონურ პეტროგოადს გერმანელებმა შემოუტყეს მუშათა კლასმა დაიწყო მზადება გერმანელების მოსაგერიებლად. სწორედ ამ დროს თავდასხმელებმა მიმართეს თხოვნით საგამომძიებლო ორგანოებს გამოეშვათ ისინი და გაეგზავნათ ფრონტზე. ისინი იძლეოდნენ პირობას თავიანთი დანაშაულის გამოსყიდვის შესახებ.

როცა ამ თხოვნის შესახებ მოახსენებ



ვ. ი. ლენინის ნიღაბი, გადმოღებული მოქანდაკე მერკულოვის მიერ. ფოტო: სოიუზფოტო.

ნეს ე. ლენინს — სწერს ამ ისტორიას შესახებ ლენინის ახლო მეგობარი, ბონჩ-ბრუევიჩი, — ლენინმა განკარგულება გასცა მოესპოთ მათი საქმე და დაუყონებლივ გაეგზავნათ ისინი ფრონტზე. ამათან ერთის გარდა ყველამ პირნათლად შეასრულა თავისი დაპირება. ერთმა მათგანმა კიდევ აღწერა ამ თავდასხმის ნამ-

დვილი ისტორია. საბჭოთა კავშირმა აპატია მას უდიდესი ბოროტება, რომელსაც იგი სხვებთან ერთად ჩადიოდა.

ლენინი ამ თავდასხმის შემდეგ გადაურჩა. პროლეტარული რევოლუციის გადარჩევისათვის ერთად ძლიერდებოდა პროლეტარული სახელ-



სურათზე: საიუქარი ამხ. ლენინს ბაქის მუშებისგან. ფოტო: სოიუზფოტო.

მწიფოს იერიშები კლასობრივი მტრების წინააღმდეგ; იმდენადვე იზრდებოდა კლასობრივი გაბოროტებაც. ისინი თეთრგვარდიელების ბანდების და არმიების სახით უტევდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. აწარმოებდნენ საბოტაჟს, ჯაშუშობას, აწყობდნენ საიდუმლო შეთქმულებებს, ტერორისტულ ორგანიზაციებს. ამ მხრივ განსაკუთრებული თავგამოდებით იბრძოდნენ მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციონური პარტიები და მათი ნარჩენები.

ლენინზე თავდასხმის იდეას სწორედ ეს პარტიები ხელმძღვანელობდნენ, განსაკუთრებით ესერების პარტია. ეს პარტია წარმოადგენდა ამ პერიოდში ლენინზე თავდასხმის სულის ჩამგდებელს. იგი კონტრრევოლუციონური ბურჟუაზიის პირწადარდნილ აგენტურას წარმოადგენდა.

მეორე თავდასხმა ვ. ლენინზე სწორედ ამ პარტიის კარნახით მოხდა. ეს მოხდა მოსკოვში, 1918 წელს 30 აგვისტოს. ეს თავდასხმა კლასობრივი მტრების ისეთ გათავებელებას ნიშნავდა, რომ მან შესძრა, ფეხზე დააყენა მუშათა კლასი და თეთრ-




საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური



იტალიური ლიმონი. მცენარეთა მოშენების კ. ინს. აფხაზეთში
ამრაიოლებს სუბტრ. აკუარუმს

ციტრუსოვანი კულტურების კობულეთის აბკოთა მამული, სუ



კურორტი აბასტუმანი, საქ. სოცდაზღვე

ღამ ხანაშირა კურორტის ბანარაში.




ქარვად სხმო არე ტობი.



ფოტო სტოლიაროვის.

ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკის ხარისხის ცუხის საუკეთესო დამკვერელი ქალი აშ. ლომიძე რომელმაც მკ-4 ცვარტალის გეგმა შეასრულა სრული 120 პერიოდში.




ფოტო კონსტანტინოვის.



აფხაზეთი. შოკოლედი მანდოიას ვატასა

ფოტო: რაბინაძის.



ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გოგაბიის მიერ შესრულებული სურათი: „ლენინი პირდაპირ მავთულთან“.

ფოტო: ოზერსკის.

გვარდიელების, კადეტების, ესერების და ბურჟუაზიის ამ აღვირახსნილობას და თეთრ ტერორს გამოუტყადა წითელი ტერორი. მუშებისა და გლეხების აღშფოთებას საზღვარი არ ქობდა, რადგან ამ თავდასხმის დროს ამხ. ლენინი მძიმედ იქნა დაჭრილი.

ვინ დასჭრა ვ. ლენინი, ვინ გაბედა მსოფლიო მუშათა კლასის ბელადზე ხელის აღება, ვინ გაბედა რევოლუციის გენიალური ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა? ესერმა ფანი კაპლანის ქალმა.

ეს იყო უდიდესი პოლიტიკური ბოროტმოქმედება. რაკი აქამდე შივი ღნენ პროლეტარული დიქტატურის მტრები, აშკარა იყო, მათ დაუნდობელ ბრძოლას გამოუტყადადებდნენ მუშებში და გლეხებშიც.

ეს თავდასხმა ასე მოხდა: ლენინი მოხსენებდას აკეთებდა ქარხანაში. ლენინის მამინდელი შოფერი, ამ თავდასხმის ერთ-ერთი დამსწრე — გილი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს:

„ჩვენ წავედით მიხელსონის ყოფილ ქარხნისაკენ. შევედით პირდაპირ ეზოში. ვლადიმერ ილიჩი გამოვიდა თუ არა მანქანიდან, პირდაპირ გაეშურა შენობისაკენ. ათი წუთის შემდეგ ჩემთან მოვიდა ვიღაც ქალი, სწორედ ის, რომელმაც ესროლა ლენინს და მკითხა:

— ამხანაგო, ლენინი მოვიდა არა? მე ამაზე ვუპასუხე.

— არ ვიცი ვინ მოვიდა...

მან გაიცინა და მითხრა:

— თქვენ შოფერი ხართ და როგორ არ იცით ვინ მოიყვანეთ?

ამის შემდეგ ის მომცილდა და შევიდა ქარხნის შენობაში“.

ერთი საათის შემდეგ, როცა ლენინი გამოვიდა გარეთ, მას თან ვამოჰყვა დიდიხალი ხალხი. ისინი ესაუბრებოდნენ ლენინს, ლენინიც უპასუხებდა, ასე მიუახლოვდა იგი მანქანას, მას ეხლა ვიღაც ორი ქალი ესაუბრებოდა, დააპირა თუ არა მანქანაში ჩაჯდომა, უცებ სროლის ხმა გაისმა. ლენინს ესროლა კაპლანის ქალმა ორჯერ. კაპლანის რევოლვერით დაედევნა შოფერი გილი, მაგრამ მან მოასწრო და ხალხში შეიმალა. დაჭრილი ლენინი დაეცა. ამ ადგილიდან ლენინი პირდაპირ ბინისაკენ წაიყვანეს. კაპლანის ქალს დაედევნა რამდენიმე მუშა და ის ერთ-ერთ ქუჩის შესახვევში დაიჭირეს.

„მე დამავალეს — სწერს ლენინს შოფერი, — შევხვედროდი ლენინს მეუღლეს ნადეჟდა კრუპსკაიას და გამეფრთხილებია იგი. იგი ამ დროს იმყოფებოდა კომისარიატში და არაფერი არ იცოდა მომხდარის შესახებ, როცა მე მას მიუახლოვდი, მან რაღაც იგრძნო, პირდაპირ შემომხედდა სახეში, შეჩერდა და მითხრა:

— ნურაფერს ნუ მეტყვი, მითხარით მხოლოდ — ცოცხალია თუ მკვდარი.

— გაძლევთ პატიოსან სიტყვას, ვუპასუხე მე, ვლადიმერ ილიჩი მსუბუქად დაჭრილია“.

რა პირობებში მოხდა ვლადიმერ ლენინზე თავდასხმა? სწორედ ისეთ პირობებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა სამოქალაქო ქარცეცხლში იყო გახვეული, როცა საბჭოთა ხელისუფლებას სამხრეთიდან შემოუტიეს ინგლისელებმა, ჩეხებმა, დაიკავეს ქალაქები — სამარა, უფა, ყაზანი, ეკატერინბურგი, თეთრგვარდიელებმა მოახდინეს გადატრიალება არხანგელსკში და სხვ.

სწორედ ასეთ პირობებში შემდგომელებსა და კაპიტულისტების აგენტებმა განიზრახეს ლენინის მოკვლა.

ლენინი მძიმედ იქნა დაჭრილი და დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ისევ დაბრუნდა სახლში სამკურნალო ებრიც მუშაობას. იმ ხალხს, ვისაც უნდოდა მუშათა კლასის დიდი ბელადის მოკვლა — სათანადო პასუხი გასცა საბჭოთა ხელისუფლებამ... ესერები და მათი მსგავსი ნაძირალეები მოტყუდნენ. ლენინმა განაგრძო მუშაობა მასზე თავდასხმამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა მის გარშემო მასები.

აღსანიშნავია უსათუოდ ის გარემოება, რომ ესერების პროცესზე სადაც გამოაშკარავებული იქნა პარტიის მთელი სისადაგლე, მენშევიკებმა და მათთან ერთად მეორე ინტერნაციონალმა, აიღო თავის თავზე ესერების დაცვა, რითაც ერთხელ კიდევ დამატკიცეს თავიანთი კონტრრევოლუციონერობა.

ეხლა უკვე სასვებით დამტკიცებულია, რომ ესერებთან ერთად მენშევიკებიც იღებდნენ მონაწილეობას თეთრგვარდიელების მთელ რიგ აჯანყებებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ოკუპანტ - ინტერვენტებთან ერთად ისინი ლამობდნენ მუშებისა და გლეხების დარბევას.

რამოდენიმე თვის შემდეგ, 10 სექტემბერს წითელობა არმიამ აიღო ყაზანი, 12 სექტემბერს კი ლენინმა მიიღო დებეჟა:

„ძვირფასო ილჩი! თქვენი სამშობლო ქალაქის აღება ჩვენს მიერ — ეს პასუხია თქვენი ერთი ჭრილობის გამო, მეორე ჭრილობის პასუხად ავიღებთ სამარას“.

ეს სიტყვები წითელი არმიის გამარჯვების შესახებ, ლენინისადმი უდიდესი სიყვარულის გამოხატველ მოვლენას წარმოადგენდა.

იმ დღეებში მუშების ათეული და ასეული ათასები შევიდნენ ჩვენი პარტიის რიგებში. საბჭოების პირველ ყოილობაზე, — ლენინის საფლავზე — ლენინის დიდმა მოწაფემ ამხ. სტალინმა წარმოსთქვა თავისი ისტორიული სიტყვა განვლილი გზებისა და ლენინის ანდერძების შესახებ. სიტყვა იმის შესახებ თუ როგორ იცხოვრებს და იბრძოლებს ლენინის შემნილი პარტია. ლენინის სიკვდილის შემდეგ. ათი წელი და ახლახან შეკრებული გამარჯვებულთა ყრილობა, პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობა, ტრიუმფით აღნიშნავს, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინიზმის გენიალური გამგრძელელების ამხ. სტალინის მეთაურობით ურყევად შეასრულა ის დიცი, რომელიც ამხ. სტალინმა ლენინის კუბოსთან დასდო.



1.

ოჰ, სადაც მცხეთას და მუხანგურდზე
გადადის შარა მიხვევ-მოხვევით,
ცალ ძუძუსავით დაბლობის მკერდზე
სამშო საფლავი აწვდილა ზევით.
ცხრილს არ ვინ ავსებს დღეს მათი რიცხვით,
არც საფლავიდან ისმის რამ ხმები,
თავის დროზე კი უტყვედნ რისხვით
მტერს ეს ოქტომბრის ერთგული ძმები.
თუმც არ შობილან ერთი დედისგან,
მაგრამ ძმა ისე ძმას ვერ ენდობა,
ვით ამ კრებულად ერთის ბედისგან
რევოლუციის შესდგა მხედრობა,
აქ იყო რუსი, ოსი, ჩერქეზი,
ქართლელ-კახელი, გურული-მეგრელი,
ერთ კონად ჰყავდა მათ ბრძოლის გეზი,
შეურიგებლად მტერთან შემყრელი.
და სადაც სოფლად, მარტვილის იქით,
ახლაც სდგას როკით და თხილის წკნელით
მეგრული ფაცხა ვაჟკაცურ რიხით,
დაწნული გლეხის მწარუნველი ხელით
აქ იდგა ურინ კვალი ფილია,
ტყეებსი და ფილთა თოფით მავალი,
სადაც ორ კლასად გაყოფილია
ადამიანი და ზემოწალი.

და კვლაც იყო მათი მომხრელი,
როგორც მკვიდრი ძმა თოფის და ტყვიის.
თუმცა ძმაც ჰყავდა, სახლში მომსვლელი,
ძმა იმისი და რევოლუციის.
მაგრამ კვლას ძმა ვერ ფრონტზე იყო,
ვით ჯარისკაცი მეფის მხედრობის,
მან გალიცია ბრძოლით აიღო,
და გაიარა კარი ევროპის.
თუმცა განსაცდელს დღეც მოყვა ცხადი:
—არა გვსურს მეფის მთავრობის ყოლა?!
ბრძოლის მეოთხე სდგას წელიწადი

და უმიზნობით დამძიმდა ბრძოლა...
მაგრამ ერთ მიზანს სხვა სცვლის მიზანა:
—ლარ გავუშვათ ვინტოვკა ხელით
და ერთ დღეს...
—კვალა?! ძმა ვარ!.. მიცანი!..
ასე დაბრუნდა შინ ბრძოლის ველით.

2.


თითქოს ცხოვრებას ბედმა არგუნა
მოზობის ტვირთ ქვეშ დგომა უმეცრად...
მაგრამ რა მოხდა? რომ შეაბრუნა
ყოფნის ბორბალი ასე უეცრად?
ასე მენივით რომ იგრილდა
და წამოვიდა, ვით მთიდან ზვავი,
აღსდგა თანდათან მუშათა ძალა
და მოითხოვა პური და ზავი!
— პური ომში რომ დანხა ქვეყანა
გაანადგურა ყანა თუ ბაღი?
პური მუშისთვის იქნება განა,
როცა ჯარისთვის აღარც კი დარჩა?!..
ჩვენი პირველი საკმეა ომი,
ომი ბოლომდე, მტრის შემმუსვრელი,
ამ დროს კი პურის და ზავის მდომი,
არის მანვილის ჩვენს გულში მკვრელი!
აბა, ხმაღს ხელი, დემოკრატია!
კერენსკი ხარ თუ შემდეგში—მანხო,
სტამბოლი ჩვენი ანდამატია!
სულ იყო ნდობა მამაპაპათა,
რომ გზა გავცხენა აქითკენ სწორი,
დღეს ამ ნატვრის მწეგ შემოანათა
და სტამბოლს უნდა დავადგათ ტორი!..

3.

იყო აპრილი, თვე გაზაფხულის,
როცა ყოველი მდოდრდება ყლორტი,
ზღვასავით ასტყდა გული ჩაგრულის
და ამღელვარდა ჯარი თუ ფლოტი.
მაგრამ გაუწვა ენის სიბინი.

რომ გამოქსელოს გამოკვეთილი:
— მოღალატეა ქვეყნის მონათმფრთხი,
ლენინ ვილმელმის არის წვეული..
დაბეჭდილ ვაგონს ბევრი ხმარობდა,
როგორც საბუთი შეურყეველი,
და ომის ღმერთიც ისევე ხარობდა:
შბოლავდა მისი საკურთხეველი..
მხოლოდ ძლიერი შეუდრეკელი
მხნედ გაისმოდა სიტყვა ლენინის:
„ომს-ომი“—როგორც პროტესტი ჩვენი
როგორც ლოზუნგი გამოჩენილი.
მანც, ივლისი როცა მოვიდა,
ფრთები გაშალა ომის ფერიაში..
ისევე დამძიდა სივრცე გლოვითა
და მზე დაჩრდილა კვამლის ჩერიაში..
კვალს ფაცხასაც გადასწვდა სახრე:
მამ-დეშერტორმაც დახტოვა ფაცხა..
ფრონტმა დროებით იკვალა სახე.
მაგრამ დღე დადგა და უფრო დაცხა.
მაინც ვერ მტერი იყო ძლიერი
და აჯანყებას შემოხვდა ცეცხლით,
ქვეყნის მყრობელის ჰქონდა იერი,
იყო მდიდარი რკინით და ვერცხლით.
აჯანყებულთა მთავარსარდალი
გამოაცხადეს კანონგარეშე.
უველა იძახდა:—აბა, სად არის?!..
იყო მისი ძებნა, თარეში..
თავის კარავი მონახა ბინად
და აღვივებდა ბრძოლის კოცონებს
ასაფეთქებლად, ცეცხლად და შინად
ის აჯანყებდა მტარვალზე მონებს
რომ მოეტაცნა პრომეთეს ცეცხლი,
ვისაც უღირსად ხელში ეჭირა,
ედგა წინ კერპად და ვერცხლი
და მცველად რკინა გამოეპირა..
(გაგრძელება იქნება)

ს.პ.პ. (ბ) მე-17 ყრლოზობისათვის სურამის უღელტეხილის ყველა მათარებლები ელექტროგავალზე იმნა გა-
დაყვანილი



სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციის უწყის ყველა დამკვეთელმა პარტიის მე-17 ყრლოზობისათვის აღეს ვალდებულე-
ბა საშური-ზესტაფონის უბანი გადაყვას ონ ელექტროფიკაზე. სურათში: საბჭოთა ელექტრო-მწველი ს-11-01 ნავთის ციხ-
ტერნების შემადგენლობით მიდის სურამის უღელტეხილზე

ლენინი და ახალგაზრდათა მოძრაობა

ეროვნული
ბიულეტენი

მრ. ასტვანცაძის

კაპიტალისტური კლასის წარმომადგენელი დაბადა საკუთარი მესაფლავე — პროლეტარიატი. პროლეტარიატის დაბადება, — ეს იყო დაბადება ახალი, მებრძოლი და დაუდგრომელი კლასისა, იმ კლასისა, რომელსაც ეკუთვნოდა მომავალი, რომელსაც ისტორიის განვითარებაში უნდა შეესრულებია პროგრესულ-რევოლუციური როლი და გარდაეჭმნა ცხოვრება ახალ საფუძველზე. მაგრამ, ამ თავისი პროგრესული როლის მეცნიერული შეგნება პროლეტარიატს თავიდანვე არ დაჰყოლია. თავისი არსებობის პირველ პერიოდში, სანამ არ ჰყავდა საკუთარი პარტია, არ ჰქონდა მას შეგნებული თავისი კლასობრივი მიზნები მართალია იგი ვანიცდა მკაცრ ბურჟუაზიულ ექსპლოატაციას, რის წინააღმდეგაც ყოველთვის იბრძოდა, მაგრამ არ შეეძლო წარმოედგინა თუ რა გზით და რა საშუალებით შეეძლო მას თავი დაეღწია ამ აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობისაგან, კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან.

ამიტომ, პროლეტარიატი თავისი არსებობის ამ პირველ საფეხურზე აწარმოებდა მხოლოდ ეკონომიურ და დაქაასულ ბრძოლას, საიდანაც თითქმის ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდა. ცალკე ქვეყნების ცალკეული ფაბრიკა-ქარხნის მოშენი იბრძოდნენ მხოლოდ თავიანთი მეპატრონეების წინააღმდეგ და შემდეგ რამდენადაც იზრდებოდა და ვითარდებოდა კაპიტალისტური წყობა მუშათა მოძრაობა მით უფრო ფართო ხასიათს იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობას უფრო მეტად სტრუქტურული და წმიდა ეკონომიური ხასიათი ქონდა. პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობასაც ეს საერთო პირობები სახლგრავდა. ამ მოძრაობის ფაქტორებიც თვით კაპიტალისტურ წყობაში იყო მოცემული. პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობა, კარლ-ლიბკნეხტის მოხდენილი გამოთქმით, რომ ვსთქვამთ, არის ყოველმხრივად შეფეროებულ და ექსპლოატირებულ მუშა-ახალგაზრდობის რევოლუციონური სულის შემოქმედება. ახალგაზრდობის მოძრაობა არის საერთოდ მუშათა მოძრაობის ნაწილი, თუმცა მას ისტორიაში აქვს თავისი „დამოუკიდებელი“ შტრიხებიც, ახალგაზრდობა „საერთოდ“, დიდ ძალას შეადგენს და განსაზღვრული ადგილიც უკავია მას მუშათა მთელ ბრძოლაში — როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებად — პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლაში, ისე სოციალისტური საზოგადოების აგების საქმეში. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მეცნიერული სოციალიზმის მამთავრები — მარქსი და ენგელსი თავიანთ თეორიულ მუშაობაში სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობის საკითხს, მის ზვედრითი წონას ექსპლოატირებულ პროლეტარიატში და იმ მისწრაფებათა საფუძველებს შესწავლას, რომლებიც ამოძრავებდათ დამქირავებლებს ბავშვისა და ქალის შრომის გამოყენებისათვის.

XI წერილი ამოღებულია შემოკლებით ავტორს მიერ დასაბუქდათ გამზადებულ წიგნიდან: „ლენინი ახალგაზრდათა რევოლუციური მოძრაობის სულის ჩამდგმელი და ბელადი“.

მაგრამ, ყველაზე სერიოზული ყურადღება მარქსისა და ენგელსის შემდეგ ახალგაზრდათა მოძრაობას, მხოლოდ ლენინმა მიაქცია. ყველა ქვეყნის „სოციალისტები“ ვერ აფასებდნენ ახალგაზრდობის რევოლუციურ ძალას და ისრე როგორც სარეთოდ, ამ საკითხშიაც აყალიბებდნენ მარქსიზმს. ლენინმა პირველმა აიყვანა ნამდვილ კლასიურ პრინციპულ და თეორიულ — პრაქტიკულ სიმართლეს ეს საკითხი. მხოლოდ ლენინმა და მის მიერ შექმნილმა ახალი ტიპის პროლეტარულმა პარტიამ ჩაუდგეს რევოლუციური სული ახალგაზრდათა მოძრაობას.

ლენინი არის სულის ჩამდგმელი და ბელადი ახალგაზრდათა რევოლუციური მოძრაობის. მხოლოდ ლენინმა და მისმა პარტიამ გადაიტანეს მთელი ის უდიდესი ბრძოლები, რომელიც სწარმოებდა 30 -- 35 წლის განმავლობაში ახალგაზრდობის რევოლუციური როლის შეფასებლობის და ახალგაზრდობის ცრუ მეგობრების წინააღმდეგ. ახალგაზრდობის როლისა და მოძრაობის საკითხი მხოლოდ ლენინმა წამოსწია წინა პლანზე ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალში 1900 წ.

მაშინ, როცა მეორე ინტერნაციონალის არც ერთ ოფიციალურ ბეჭედად აზრათაც არ მოსდიოდა ახალგაზრდობის საკითხი, მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა 1900 წ. პარიზში ვ. ლენინის დაჟინებით მოთხოვნით თავის რეზოლუციაში, „ხალხთა მშვიდობიანობისა და მილი

ტარიზმის შესახებ“, აღნიშნა, რომ „სოციალისტურ პარტიებმა ყველგან უნდა დაიწყონ ახალგაზრდათა აღზრდა და ორგანიზაციაში გაერთიანება, და გულმოდგინებით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს“.

კონგრესის ამ დავალებამ დიდი როლი ითამაშა სოციალისტური პარტიების ყურადღების გაძლიერებას საქმეში ახალგაზრდათა მოძრაობისადმი და კერძოდ ამ უკახსკნელის განვითარებაში. ეს გარემოება კ. ლენინის დახმარებად უნდა ჩაიყვანოს, რადგან არც ერთი, მეორე ინტერნაციონალიდან, ისე არ იყო დაინტერესებული ახალგაზრდობით და არ იცნობდა ახალგაზრდათა მოძრაობას, როგორც კლასიურ ილიჩი.

ვლადიმერ ილიჩმა და მისმა პარტიამ შეიტანეს ნამდვილი კლასობრივი შეგნება და რევოლუციური ბრძოლისა და შეუტირებლობის სული ახალგაზრდათაში. მაშინ, როცა მეორე ინტერნაციონალის ოფიციალური ბელადები და მოძავალი მენშევიკები პოლიტიკას მხოლოდ უფროსების საქმეთ სთვლიდნენ, ახალგაზრდათა ანხლოვებდნენ რევოლუციურ კლასიური ბრძოლისაგან და მით ამოცანად მხოლოდ „სოციალიზმის“ წიგნებით შესწავლას აღიარებდნენ, ლენინმა პირველმა გაიღმურა ამ მავნე და ბურჟუაზიულ ტენდეციების წინააღმდეგ და მთელი სიგრძე სიგანით დააყენა ახალგაზრდობის პოლიტიკურ ბრძოლებაში ჩაბმის საკითხი

მარქსის და შემდეგ უფრო მეტად, ენგელსის სიკვდილის შემდეგ რევოლუციონიტებმა გააძლიერეს ამკარა და შენიღბული ბრძოლა მარქს-ენგელსის რევოლუციური მოძღვრების — მეცნიერული სოციალიზმის წინააღმდეგ. ს. დ. პარტიებში. განსაკუთრებით რასავლეთ ევროპის პარტიებში. ფებს იკიდებდა ოპორტუნიზმი. ასეთმა მდგომარეობამ არსებითი საფრთხე შექმნა ახალგაზრდათა მოძრაობის წინაშეც. ამ პერიოდში ერთი ყველზე მთავარი ამოცანა იყო — ბრძოლა მარქსიზმის გამყალიბებლების ოპორტუნიზმების, ახალგაზრდობის ყალბი მეგობრების (ოპორტუნიზმი ახალგაზრდობის საკითხში) და სხვ. წინააღმდეგ, სოციალ-ოპორტუნიზმის მიერ შეწყვენილ ნამდვილი რევოლუციური მარქსიზმის აღდგენისა და მისი კონკრეტულ პირობებისა და გარემოში გამოყენება-



საქართველოს შინაგარე საკომონტო საღებავი

„ავტორემონტი“-ს ა.კ. კანტორის მიერ მოწყობილია ა.კავკასიაში შინაგარე პირველი საკომონტო საღებავი, სურათზე: მარცხენით ამხ. მაისურაძე ამოწმებს რემონტის ხარისხს. მარჯვნივ შინა რემონტამდე.

ფოტო: სტალიაროვის.

სათვის. ამ ბრძოლის პიონერი და ხელმძღვანელი იყო ლენინი. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში მარქსიზმის სიწმინდის დაცვისა და გაღრმავებისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე ლენინს გადაეკისრა.

აქედან, სრულიად ადვილი გასაგებია. თუ რატომ პირველად ლენინმა დააყენა ახალგაზრდათა მოძრაობის პოლიტიკურ - კლასობრივ რეკლებზე გადაყვანის და ახალგაზრდობის ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის დარაზმების საკითხი. ლენინს და მის პარტიას დიდი ბრძოლების ჩატარება მოუხდათ მენშევიკებთან და ყველა ჯურის ყალბი სოციალისტების წინააღმდეგ იმისათვის, რომ შეექმნათ ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირები მსოფლიოს ყველა კუთხეებში.

ჯერ კიდევ 1903 წლის რ. ს. დ. შ. პ. მეორე ყრილობამდე, სადაც საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის პროლეტარულ პარტიას, ლენინმა მკაცრი ბრძოლა გადაიტანა ახალგაზრდობის საკითხში მენშევიკებისაგან. ლენინს, რომელიმაც წარადგინა ყრილობაზე რევოლუციის პროექტი ახალგაზრდობის შესახებ, თავს დაესხნენ მარტოვი და ტროცკი, იმისათვის, რომ ლენინის პროექტი მოუწოდებდა

ახალგაზრდობის ოპორტუნისტებისა და ცრუმეგობრების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ლენინი ამ პროექტში ახალგაზრდობის წინაშე სამ ძირითად ამოცანას აყენებდა:

„პირველი, — დააყენონ თავისი მოქმედების პირველი რიგში თავის წევრთა შორის მთლიანი და თანამიმდევრული სოციალისტური მსოფლიომხედველობის გამომუშავება, სერიოზული ვაცნობა ერთი მხრით მარქსიზმის, მეორე მხრივ, რუსული ნაროდნიკების და დასავლეთ ევროპულ, ოპორტუნისტების, როგორც მთავარი მიმდინარეობის თანამედროვე მებრძოლთა მოწინავე მიმართულებათა შორის;

მეორე, — უფროსიდან ახალგაზრდობის ცრუ მეგობრებს, რომლებიც აცილებენ მათ სერიოზულ რევოლუციურ აღზრდას ცარიულ რევოლუციურ - იდეალისტურ ფრაზეოლოგიით და ფილისტერულ ლაპობით რევოლუციურ მიმართულებათა შორის მწვავე პოლემიკის მავნებლობისა და უსარგებლობის შესახებ, ისე როგორც ეს ცრუ მეგობრებში საქმით ავრცელებენ მხოლოდ უპრინციპობის და რევოლუციურ საქმისადმი ფუქსავატურ დამოკიდებულებას;

მესამე, — შეეცადონ პრაქტიკულ მოღვაწეობაზე გადასვლას

ღრვან წინდაწინ გააზრდონ კავშირი სოციალ - დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რათა გამოიყენონ მათი მითითება და შედეგებისდაგვარად აიცილონ მსხვილი შეცდომები თვით საქმის დაწყებისას“.

ამ პროექტში ვლადიმერ ილიჩმა მკვეთრად მოახაზა ახალგაზრდობის რევოლუციური ამოცანები, უჩვენა მას პრაქტიკული მოქმედების გზები და გენიარულად განსჭვრიტა წინასწარ, როგორც უდიდესმა მეცნიერმა, მთელ რიგი მოვლენებისა. ლენინმა ამ პროექტით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა არა მარტო ევროპულ ოპორტუნისტებს, არამედ მომავალ რუს მენშევიკებსაც. სწორედ ამიტომ, არ იყო შემთხვევითი ეს გარემოება, რომ ლენინის აღნიშნულ პროექტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს მარტოვი და ტროცკი. ლენინის ეს პროექტი ახალგაზრდობის შესახებ მთლიანად გამომდინარეობდა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის იმ ორგანიზაციულ და ტაქტიკურ-პოლიტიკურ პრინციპებიდან, რომელთაც იცავდა და აწვითარებდა ლენინი მეორე ყრილობაზე მენშევიკების წინააღმდეგ. ლენინის ამ წმინდა კლასობრივმა პრინციპებმა სრული განხორციელება ჰპოვეს ჩვენი პარტიის მთელ შემდგომ მუშაობაში ახალგაზრდათა შორის.

ლენინი ომის პერიოდში, როცა იგი შვეიცარიაში ცხოვრობდა, თითქმის უშუალოდ იყო დაკავშირებული ახალგაზრდათა რევოლუციურ მოძრაობასთან და უწყვედა მას ხელმძღვანელობას. შვეიცარია ამ პერიოდში 1915—16 წ.) გადაქცეული იყო ახალგაზრდათა რევოლუციურ მოძრაობის ერთგვარ ცენტრად. ბერნის კონფერენციის შემდეგ ახალგაზრდათა საერთაშორისო ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. მიუნცენბერგი, ფაქტიურად მოთავსებული იყო შვეიცარიაში. ეს ბიურო შეუდგა აქტიურ მუშაობას და პირველ საერთაშორისო პერიოდიული გაზეთის — „ახალგაზრდობის ინტერნაციონალი“ — გამომცემას, რომელიც ამუშევრდა ახალგაზრდობის პროლეტარულ მოძრაობის საკითხებს. ლენინი იყო ამ გაზეთის არა მარტო მკითხველი, არამედ, იგი იყო, კარლ ლიბკნეხტთან ერთად, ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელიც. ამ გაზეთში ლენინმა მოათავსა რამოდენიმე წერილი, სადაც იგი აკრიტიკებდა გაზეთის, ახალგაზრდათა საერთაშორისო ბიუროს, ბერნის კონფერენციის და სხვა შეჯდომებს და ახალგაზრდათა მოძრაობას უჩვენებდა სწორ მიმართულებას; ამასთან ერთად ლენინთან დაკავშირებული იყვნენ ახალგაზრდობის საერთაშორისო ბიუროს ხელმძღვანელები, რომელთა საშუალებითაც ლენინი უძულო ხელმძღვანელობას და იახმარებას უწყვედა ბიუროს — დროზე გამოესწორები შეჯდომები და დაერაზმა ახალგაზრდობა სოციალ-შოპინისტიკის ანტიპროლეტარულ ლოზუნგების წინააღმდეგ — კერძოდ ომსადმი დამოკიდებულების საკითხში. სწორეი ლენინს და ლიბკნეხტს ეკუთვნის ის დამსახურება, რომ ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ომისადმი დამოკიდებულების საკითხში, წინ აღუდგა და სასტიკად შეებრძოლა სოციალ-შოპინისტიკა, იმ სოციალ-შოპინისტებს, რომლებიც მალლა სწევდნ გაკოტრებულ მეორე ინტერნაციონალის ფერმკრთალ დოშას.

მეორე ყრილობის შემდეგ ახალგაზრდობის საკითხი განხილული იქნა მეექვსე ყრილობაზე — თებერვლის რევოლუციის შემდეგ. შართალია ამ ყრილობაზე არ ესწრებოდა ვლ. ილიჩი, რადგან იგი დროებით მთავრობისაგან დევნილი იმალეზოდა იატაკქვეშ, მაგრამ მას ხელმძღვანელობდა საუკეთესო ლენინეი ამხ. სტალინი, რომელმაც უზრუნველყო დაეცვა და სწორედ გაეტარებია ლენინური ხაზი ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების საკითხში. ამ ყრილობამ საფუძვლი ჩაუხარა ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირს,



მანდარინის კამპანია აზხანეთში

აკრეფს ზრივადი ი ამხ. პეტროვა, რომელმაც საბჭოთა მამულში დაამთავრა სახ. ფლო-სამეურნეო სკოლა ამოწმებს მანდარინის ხარისხს.

როგორც ლენინის პარტიის უახლოეს თანაშემწეს და საიმედო დასაყრდენს. ლენინურმა კომკავშირმა ღირსეულად გაამართლა თავისი საპატიო საბელწოდება ჯერ სამოქალაქო ომში, შემდეგ კი პარტიის ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ და სოციალ-ისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ვლ. ლენინი ყველაზე უფრო ახლო იდგა ყველაზე უფრო მეტად აფასებდა ახალგაზრდობას და მის რევოლუციურ ძალას, არა მარტო ოქტომბრის რევოლუციამდე, არამედ მის შემდეგაც. ლენინის და მისი პარტიის ხელმძღვანელობით გაერთიანდნ და შეიქმნნ ერთ ძლიერ მონოლიტურ ორგანიზაციად რუსე-

თის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირები; ლენინის ინიციატივით და დახმარებით შეიქმნა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც გადაიქცა მსოფლიო რევოლუციური ახალგაზრდობის უძლიერეს ორგანიზაციად.

ვლ. ლენინმა განსაკუთრებით ფაროო ამოცანები დააყენა ახალგაზრდობის წინაშე პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკულად აშენების დროს თავის მოხსენებაში რ. ა. კ. მე-3 ყრილობაზე 1920 წ. ეს მოხსენება არის კომუნისტური ახალგაზრდობის გაშლილი და ფცვლელი პროგრამა.

„სწორედ ახალგაზრდობას, — ამბობდა ვლადიმერ ილიჩი. — უდ-

გას წინ კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“.

„ის თაობა, რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლის არიან, ვერ იქონიებს იმედს, რომ იგი იხილავს კომუნისტურ საზოგადოებას. მანამდე ეს თაობა გაწყდება. აქ თაობა, რომელიც ახლა 15 წლის არის, ის კიდევ იხილავს კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონვე იქნება ამ საზოგადოების მშენებელი.“

და მან უნდა იცოდეს, რომ მისი სიცოცხლის მთელი ამოცანა ამ საზოგადოების მშენებლობაა“.

ასეთი იყო ის გრანდიოზული ამოცანა, რომელსაც უსახავს მსოფლიო პროლეტარიატის დიდი მასწავლებელი ახალგაზრდათა ორგანიზაციებს სოციალისტურ რესპუბლიკებში საერთოდ. და ამ ამოცანის განხორციელების ძირითად პირობად ამხ. ლენინი სთვლიდა სწავლას: „ჩვენ შევიძლია ვაშენოთ კომუნისმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით და აღამიანთა ძალებისა და საშველებათა იმ მარაგით, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ახალგაზრდობის სწავლის, ორგანიზაციისა და აღზრდის ძირითადთა გარდაქმნის გზით შევძლებთ ჩვენ იმის მიღწევას, რომ ახალ თაობის ძალონით შევძლოთ ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელიც არ ემსგავსება ძველს, ე. ი. შევქმნათ კომუნისტური საზოგადოება“ ამიტომ, „ამოცანა მდგომარეობს იმაში, ეუბნებოდა ლენინი კომკავშირეებს, რომ ისწავლოთ“.

ვლ. ლენინი იყო დიდი ბელადი და მასწავლებელი არა მარტო კომუნისტური პარტიებისა და მსოფლიო პროლეტარიატის, არამედ იგი იყო დიდი ბელადი და საუკეთესო მასწავლებელი კომუნისტური კავშირის და



აფხაზეთი. საბჭ. მაშულის „პსირცხა“-ს და მკვრელი ქალი ამხ. გოლუმბევა აწყობს მანდარინებს სტანდარტულ ყუთებში

ყველა ქვეყნის რევოლუციური ახალგაზრდობის. ლენინი იყო ის ადამიანი, რომლის რჩევით, ხელმძღვანელობით და დახმარებით შეიქმნა, გაიზარდა განმტკიცდა რევოლუციური ახალგაზრდობის ავანგარდი — კომუნისტური კავშირი, რომელიც რაზმად და ამჟღადროვებს ახალგაზრდობას ლენინის პარტიის გარემო და ამ პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის მოძღვრების დაუფლებებისათვის, ახალ წარმოების და ტექნიკის ათვისებისათვის, სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის ჩვენში; კაპიტალისტური ქვეყნებში კი, კომკავშირი აწარმოებს გმირულ

ბრძოლას კაპიტალისტური წყობის დამსხვრევისათვის.

ლენინური კომკავშირი იზრდება და მტკიცდება ყოველდღიურად. ლენინურმა კავშირმა, როგორც ჩვენი პარტიის უახლოესმა თანაშემწემ, უკვე მოიპოვა პროლეტარიატის საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული, და ეს შედეგია იმისა, რომ ის მტკიცედ ანხორციელებს ლენინის ანდობებს. კომუნისტური ახალგაზრდობის რაზმები იზრდებიან და იმარჯვებენ ყველა ქვეყნებში და ეს ხდება იმიტომ, რომ მათ ხელმძღვანელობას უწევენ კომუნისტური პარტიაში ა ლენინის საუკეთესო მოწაფე — ამხ. ი. სტალინი.

ლენინის უმჯობესათვის

ა ლ ი ა რ ს ე ნ ი შ ვ ი ლ ი

ნახევარმა საუკუნემ განვლო კარლ მარქსის გარდაცვალების შემდეგ და ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვეპოვა ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ღირს იყოს იმ ტყუილის აზროვნების და ცხოვრებისა, ვისი დაკარგვით „კაცობრიობა დამდაბლდა შუაული თავით, და ასთან ისეთით, რომლის მზავასი მას ჩვენ ღრწში არ მოეპოვებოდა“ (ენგელსი).

უშუველია, მარქსის ცხოვრება ელის თაგის მონუმენტალურ გამოსახვას. ასეთი რომანის დრო ჯერ არ დამდგარა — ამბობს ამხ. ც. ფრიდლანდი — მარქსის ცხოვრება დაკავშირებულია მთელი საუკუნის რევოლუციური მოძრაობის ისტორიასთან. მისი გენიალური აზროვნების ძირები ღრმად არიან გამჯდარი წარსულში. მისი შრომები მთელ საუკუნეთა ფილოსოფიურ თეორიის ჯამს წარმოადგენენ. მისი მნიშვნელობა მდგომარეობს იმ მკიდრო კავშირ-

ში, რომელიც ათეულ წელთა მანძილზე არ სეზობდა რევოლუციურ აზროვნებას, მუშათა კლასის მოძრაობასა და მომავალ გამარჯვებათა წინასწარმეტყველურ განქუთებაში.

იმ ქვეყანაში, საიდანაც ოდესღაც მარქსი განდევნილი იყო და სადაც დღეს ცეცხლით ანადგურებენ მის გენიალურ ნახარებს ფაშისტურ გერმანიაში — პირობები მარქსის ეპოპის შექმნისათვის დღეს დღეობით არ არსებობს. იქ სწარმოებს ბრძოლა მათი შექმნისათვის. სამაგიეროდ სტ. ცვაიგის, ა. მორუს ტიპის მწერლები ერთი შეოჩრზე „ქმნიან“ ბიოგრაფია-რომანებს ისეთ ისტორიულ პიროვნებებზე, როგორიცაა ეოზეფ ფუშე, და ისრაელი-ბიკონსველი და სხვ. რომელთა თავიდასავლის მოგონებით ბურჟუაზია ტყდება თავის „გმირულ“ წარსულით და ცდილობს დღესა-

თავის სიბერის უამს, შექმნას ახალი შტურმ უნდ დრანგის (შეტყვის და თავდასხმის) იდეოლოგია.

პირველი ადგილი მარქსის ცხოვრების მხატვრულ აღდგენის ცდაში ეკუთვნის მისი იდეების განხორციელებელ საბჭოთა ქვეყნის მწერლობას, სადაც ორი ნაწარმოების სახით, როგორცაა ს. კირსანოვის „ამხანაგი მარქსი“ და გ. სერებრიკოვას „მარქსის ახალდაზრდობა“, უკვე საფუძველი ჩაეყარა მარქსის ცხოვრებისა და დიდი მოღვაწეობის მხატვრულად ასახვის საქმეს.

რა მდგომარეობაა ამ მხრე გ. ი. ლენინის ეპოპის — ლენინიადს აღმშენებლობის საქმეში ბელადის გარდაცვალების ათი წლის თავზე? „ლენინიადის“ მოცემა ნიშ-



ნაეს „ომის და ზღვის“ მაგარი რამის დაწერას, ე. ი. ეპოპის მიცემას ლენინის დაწესებულების ბრძოლის, აღმშენებლობის, რევოლუციის, კულტურის შესახებ, იმის ჩვენებას—თუ როგორ ამოიმართა ლენინი ამ ეპოქიდან და შემდეგ გაანაყოფიერა იგი მის გიგანტურ ტვივში გამოძეულებულ ენერგეტიკულ ძალით“ (ლენინარსკი).

საბჭოთა კავშირის ხალხთა მწერლობაში ბევრია მეტად სწორი, მეტად მხაფრი და გრძობით სესე ცდა ლენინის ასახვათ. მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ყველა ისინი ისეთივე ანარქულია ლენინისა, როგორც, ერთი ნათქვამის არ იყოს, ზღვიდან ამოდებული კიჭა წყალი ჰგავს ზღვას.

თუ ლენინის მოცემას მწილობაში გავგებთ ისე, როგორც მისი სახის პორტრეტულ გამოსახვას, მის რომელიმე კონკრეტულ შტრიხებით ან განყენებულ ცნებებით დახასიათებას, მაშინ ჩვენ მივიღებთ დაბლოებით ისეთ შედეგს, რომელსაც იძლევა უკეთეს შემთხვევაში ლენინის განსწორებანი სახელით ხელოვნებაში, როგორცაა მაგ. მოქანდაკე ანტინიევის ჭანდაკებანი, ნატან ალტუნის ნახაზები და სხვ. თუმცა აქაც უნდა ითქვას, რომ იმ თანამედროვეებს, ვისაც განუცდია ლენინის დიალექტიკის უშუალო შემოქმედება, მისი ჯენიას ციხალი შეგრძობა, არ აკმაყოფილებს ხელოვნების საშუალებით მოცემული მისი სახე. ლენინის პორტრეტები არ სჩანს. მსჯელს არ ყოფილა და არც არის, ალბათ საუბრეები თუ დასარულებენ დაღმთვრცხლად დარჩენილ პორტრეტსა—სწორად პოეტო პოლეტაევი და ამით ერთევედ თავიდან აშორებდა თანამედროვეობას ამ უღიღეს საგანზე ზრუნვას. „ნაღდეილი ლენინი მარტო კინოშია, არც ერთი მისი პორტრეტი არა ჰგავს მას“—ამბობს დანჯი კომუნისტი პოლ ვაიან კულტურა. შატგარ ბროდსკის გადმოცემით, როდესაც მან ხელოვნებაში გადასვა ლენინის მარის მოედანზე მისგან შესრულებული პორტრეტი გლადიმერ ილიჩმა არ სცნო იგი მისგან და დიმილით უთხრა მხატვარს: „პირველად ჩემს სიციოხლებში ვაწერ ხელს მას, რისი თანახმაც არა ვარ“.

ყველაფერი ეს ნიშნავს მას, რომ იმ უღიღეს იდეურ და ემოციონალურ ძალა გართყერტილება. სადაც როგორც ლენინში, თავს იყრის მრავალმხილიონიან მასობის ნენისყოფა, გარავლებული უდიდესი მოაზროვნის და რევოლუციონერის გენიაზე, უნდა მოხდეს მოიჯალი მხატვრული სერეზის გამოყენებით, სოციალისტური რეალიზმის და რეოლოგიური რომანტიკის ისეთი შედარებით, რომელიც მსასლიბილს გახდის ამ უთიღის კლდის ნატების დირსეულ გამოძერწვას.

რა ყო მთავარ და ყველაფერი უფრო მსამინეი ლინინში? ანხ. სტალინი ამაზე უპასუხებს—სისადაე და მრკობილზე იყო ერთ-ერთი და ყველაზე უფრო ძლიერი მხარი ლენინის, როგორც ახალი მსების ახალი ბელადის, კაცობრობის აღრმად „დაბალ“ უბრალო და ჩვეოლობრივ მსების ბელადის (არეღის კურსანტების სადამოჯე წარმოქმული სიტყვა).

მ. გორკი თავის შესანიშნავ მოგონებებში ლენინზე ამბობს, რომ ზემოთ მოყვანილ შეკითხვაზე სორმოილმა მუშამ დიმიტრა პავლოვმა 1918 წ. მიპასუხა:

— სისადაე: ლენინი სადაა, როგორც სიმართლე.

მაგრამ ეს არ იყო, რა თქმა უნდა უბრალო სისადაე ეს იყო გენის სისადაე, რევოლუციის მისი არწიის სისადაე, რომლის გადმოცემად აუცილებელია მეტის მეტად სადა და მსთან მისაგებად მეტის მეტად რთული საშუაოებები და გზები. თითონ ლენინი სწორედ ასეთი სისადავის მოთხოვნილებას უყენებდა მწერლობას და გერ იტანდა მყვიოილა ფრანგს, ხე-



ლაზოდენის რაიონში მშალაზე უკმთ აიღო. თამბაყო.
სურათზე: ძველი მუშა, დაჯილდოებული დამკრელო ანხ. პაპავა ახალი თამბაქის ფოთლის გაფენის დროს.

ფოტო: ბუღეშკოს.

ლოვურად აწეულ მაღალ სტილს, გარეგან ეფექტებს. ლენინი მოითხოვდა მხატვრული კულტურის უმაღლეს კვალიფიკაციას. მხატვრული კულტურის საერთოდ იდეოლოგიის, პარტიულობის მოთხოვნასთან ერთად, იგი უღმობელი მტერი იყო გაუბრალობის, ვულგარიზაციის და სწორედ მხატვრული კულტურის უმაღლესი კვალიფიკაციის დაღმევი მივიღებთ ისეთ ნაწარმოებს ლენინზე, რომელსაც მუშათა კლასის ბრძოლაში ისეთივე მნიშვნელობა ექნება, როგორც აქვთ თვით მისი წიგნების დაუტყობილ დიალექტიკას.

მარქსიზმის ბურჟუაზიული ვულგარიზატორები ხშირად აწერდენ და აწერენ მარქსიზმს ისეთ აზრს, თითქო იგი უარყოფილ პიროვნების განსაკუთრებულ როლს ისტორიაში. ანხ. სტალინი თავის საუბარში გერმანულ მწერალ ემილ ლუდვიგთან შეტად მახვილი გაცეითელი მისცა ასეთ „პოპოზროვნიებს“, როდესაც უარყო რა მისთვის შეთავაზებულ შედარება პეტრე დიდთან, დასაინა: „არც შეეგება პეტრე დიდს, —ეს

უკანასკნელი იყო წვეთი ზღვაში. ხოლო ლენინი მთელი ოკეანე“. აქედან ამომწურავის სიციხადი გამომდისარობს პერსონალიზაციის მარქსისტული გაგება, რომლის მიხედვით „სოულოდაც არ შეიძლება დაუპირისპიროთ აღამინები პირობებს. სწორედ აღამინები ქნიან ისტორიას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ სოროდ ესმით პირობები, რომლებიც მათ დახვდა მხასახით და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ ესმით, თუ როგორ შესცვალონ ეს პირობები“ (სტალინი. საუბარი ე. ლუდვიგთან). ამრიგად პოლეტაიკის გენის — მარქსის და ლენინის—გეროზაცია სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე ბურჟუაზიული „გემირის“ და „ბრბოს“ დაპირისპირება.

უდიდესი მაგალითი პოლეტარული დიდი პიროვნების გათქეფისა მსებში არის ლენინის გარაცვალების დღეების რევოლუციური სიმაღლე, ლენინურად ბრძული სისადაე და რკინისებური სიატციე. სტალინის მირ წარმოქმული მამინ და ლუეს ჯევე შეარულებული ფიცი არის უდიდესი ფრამენტი ლენინის მომავალ ეპოპისა.



უცხოეთის პოლიტიკარიკატურა

ახალი წლის პერსპექტივა ინგლისში. სურათზე: „მუშათა დასასვენებელი სახლი“. (სურათი გადმოღებულია ინგლისური რადიო-ლოური ჟურნალ „ნიუ ლიდერ“-იდან).

„გამოვიდა სტალინი. ლაპარაკობდა და-მშვიდებულია დიდი მწუხარების შეგრძნობით, და დარბაზში ეცემოდა მარტივი სიტყვები, მარტივი როგორც ის გრძნობები რომელიც უღვიოდა გულში მილიონებს, და მძლავრი როგორც ლენინის საქმის და-მთავრებისადმი მილიონების ნებისყოფა. არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია ასეთი სიტყვა და ვეღარც მოვისმენ. ეს აყო კლდის ნატეხები, რომელიც გამოსჭრა ისტორიამ და რომელზედაც გამოსწვა წასულ ბელადის ანდერძი. დარბაზი მათ უსმენდა როგორც საბრძოლო ბრძანების სიტყვებს“ (კ. რადეკი).

თითქმის ასევე ამბობს გერმანელი პრო-ლეტარული მწერალი იოჰანეს ბენერი ლენინის სიჩუმე მკედრის სიჩუმე არ არის... იგი ბრძოლისაკენ მოწოდებაა-ო.

ჩვენს მწერლობაში უდავოთ ემოციონალურად მკვეთრ და იდოლოგიურად საკმაოდ ძლიერ განსახიერებად სტალინის ფიციისა უნდა ჩაითვალოს ახლახან დაწერილ დემან შენგელაიას „ფიცი“, რომელშიაც ავტორი ისტორიულად ზუსტ ფაქტიური დოკუმენტაციის საფუძველზე დაყრდნობით სასურველ მხატვრულ ეფექტს ად-წევს.

ათი წლის წინად, ტრაურულ დღეებში, როდესაც ერთი მწერლის თქმით, ჩვეყანა მქვს დღეს ლეჭებით ლაპარაკობდა ლენინზე, ჩვენმა პოეტებმაც დასტოვეს თავისი

მწუხარების ანარქული. ს. ეული, პ. სამსონიპე, კონსტ. ლორთქიფანიძე, ა. შაშაშვილი, კ. კალაძე, პ. იაშვილი, ვ. ვაფრინდაშვილი—აი არა სრული ჩამოთვლა ავტორებისა, რომელთაც სხვადასხვა ემოციონალური ძალით და აღმასკლით გამოხატეს დიადი დანაკარგის გრძნობა და ისტორიული მომენტის პასუხისმგებლობის სრული შეგნება.

არის ჩვენს მწერლობაში ერთი პატარა ნაწარმოები პროზით, რომელიც პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია იმით, რომ გადმო-

გვეცემს არა შორეულ, ინტელექტუალურ და ასე თუ ისე განყენებულ წარმოდგენას ლენინზე, არამედ მასთან სიახლოვით უშუალოდ მიღებულ შთაბეჭდილებებს. ესაა დავით სულიაშვილის „შვეიცარიიდან პეტროგრადამდე ლენინთან ერთად“, სადაც ავტორი ზოგჯერ ფიზიკურად საგრძნობად ხდის იმ განცდებს, რომელიც, უძგერებდა გულს ლენინის პომოლოდინე პეტროგრადის მუშებს.

„სველას უნდოდა მისი ნახვა, მისი მოსმენა. და ლენინსაც ეს უნდოდა. მუშებ-

ბატატები



სოხუმში გამოყოფილია 120 სხვადასხვა ჯაზი ბატატის გამოცდა. სხვა ჯიშთა შორის მოსავლიანობით გამოირჩევა № 85. სურათზე: ბატატის ბუჩქები. ფოტო: რანინის.

მოითხოვდნენ სალაპარაკოდ და ლენინი არ წავიდოდა?.. მუშები მოითხოვდნენ წინამძღოლს და ლენინი დაიზარებდა? მაშინ ციხე იღენინებდა... მისი სიტყვა მკვეთრი, წოფელი, დასაბუთებული ისე ედებოდა მუშათა გულს, როგორც ბურჟუაზიას ალი. ..გინახავთ თქვენ დედა ავადმყოფ შვილის მომვლელი? შეგიხედნიათ მის გონებაში? ვიგარბენით მისი გულის ძვრა? შეგიჩნევიათ უძილო ღამეების გამატარებელი მისი თვალები? ასეთი იყო ლენინი რევოლუციის წინაშე". (დ. სულიაშვილი). როდესაც ათი წლის წინ შეწყდა ლენინის

ნის დიადი აზროვნება და გრძნობა, მსოფლიო მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლებმა ერთხმად აღიარეს იგი კაცობრიობის უახლეს ისტორიის ყველაზე უფრო უდიდეს გენიად. კაპიტალიზმის და სოციალიზმის ეპოქების მიჯნაზე დგას მისი გრანდიოზული ფიგურა და უბრალო ფიჯაკში სოკრატის შუბლით ვაცქერის იმ პანძის, რომელიც აშორებს პირველ შაბათობას მაგნიტოგორისკის, დნებოკის და თეთრი ზღვის არხის ეპოქიდან.

ლენინიზმის შემქმნელი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, საკავშირო კომუნისტური

პარტიის ორგანიზატორი და ბელადი, კომუნისტურ ინტერნაციონალის დამაარსებელი და ბელადი, მსოფლიოში პირველ პოლუტარულ სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი, — ამ ქვეყნის დიდ დიდი ადამიანი, რომელმაც საბჭოთა კავშირის სახით დაანთო ისეთი მანათობელი, რომლის ჩაქრობა არ ძალუძს არავითარ ძალს, — ვ. ი. ლენინი — ელის საბჭოთა მწერლობისაგან რევოლუციურ სიმფონიას, რომლის შექმნაში ჩვენი მწერლობის რაზმი არ დაიქერს უკანასკნელ ადგილს.

ლენინი და ბურჟუაზიული მოღვაწეები

3. 8.--იმ

ლენინის გარდაცვალებას გლოვობდნენ არა თუ მარტო მსოფლიოს მშრომელი მლიონები, არამედ ბურჟუაზიული რიგებიდან მოწინავე და პროგრესული ელემენტები, გამოჩენილი პოლიტიკურ მოღვაწეებმა, პუბლიცისტებმა, მწერლებმა გამოსთქვეს მაშინ თავისი აზრი ლენინის შესახებ. მათ შორის ბევრი ლენინის საქმის მტერი იყო. მაგრამ მაინც იძულებული იყო აღეიარებიათ ლენინის სიდიადე. ამათ შორის რასაკვირველია იყვნენ ისეთებიც, ვინც საბჭოთა კავშირს მეგობრულად ექცეოდნენ და დღემდე დარჩენ ამ მეგობრობის პოზიციაზე. გამოჩენილი გერმანელი კრიტიკოსი და ლიტერატორი არტურ გოლომერი ლენინის გარდაცვალების გამო შეშლევს სწერდა:

„ვლადიმერ ილიჩის სიკვდილის საათში ერთ მომენტით შეჩერდა კაცობრიობის გული. შეწყდა მსოფლიოს ისტორიის მაჯის ცემა. მისი სიცოცხლე მიუახლოვდა დასასრულს, მაგრამ ესლა, როგორც ჩრდილოეთის თვალუწვდენელი განათება სდგება ჰორიზონტზე მისი ცხოვრების ლეგენდა.

იგი იყო კაცობრიობის სინდისის გაღვიძებული და ზმამაღალი დაძახილი, ეს ზმს არასდროს არ ჩაწყდება“.

ცნობილი გერმანელი ლიტერატორი და ჟურნალ „ფორუმის“ რედაქტორი ვილჰელმ გერცოფი სწერდა:

„...მარქსის სიტყვები, რომ „ფილოსოფოსები სხვადასხვანაირად ხსნიდნენ საზოგადოებას, საჭიროა კი მისი გარდაქმნა“, არავის არ მოუნდა გაეტარებია ცხოვრებაში, როგორც ლენინს, იგი არა თუ მარტო ხსნიდა ქვეყანას, არამედ სურდა მისი გარდაქმნა. და მან კიდევ გარდაქმნა იგი. მთელი მსოფლიო ბურჟუაზიის თავზარდასაცემად და აქამდე ჩაგროო კლასის სასიხარულოდ

იგი გახდა მეტროლ მუშათა კლასის ბელადი. იგი გახდა მისი ბრწყინვალე დროშა“.

გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი შტრევემანი ლენინის შესახებ ამბობდა:

„ლენინი აღტურვილი იყო ყველა ძალების შეერთებისა და მათი ერთ მიზნისაკენ მიმართვის უდიდესი უნარიანობით, თავისი გეგმების აღსრულების გამბედაობით. ამ მხრივ იგი გენია იყო, და როგორც ასეთი დაიჭერს თავის ადგილს ისტორიაში“.

ინგლისელი პროფესორი ბერტრან რუსელი ლენინის შესახებ სწერდა შემდეგს:

„მსოფლიო ბურჟუაზიას ლენინი ეჩვენებოდა, როგორც მხგრველი, მაგრამ არა ნგრევამ გახდა უცი ცნობილი. მას ქონდა ნათელი შემოქმედებითი გონება. იგი იყო ფილოსოფოსი. ის არა დროს არ მიდიოდა ისეთ დათმობებზე, რომელსაც მიზნად არ ქონდა კომუნისმის გაშარჯვება.

ცნობილი ინგლისელი ჟურნალისტი გ. ვ. მასინგამი სწერდა:

„ლენინი—მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ჭიკანტია, ერთი მათგანი, რომელიც სტრევებს თავის უკან საუკუნოებრივ კვალს. ერთი იმათგანი, რომელთა სახელი ხდება შიშვალე გარდატეხათა სიმბოლო.“.

საფრანგეთის გამოჩენილი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწე დემონი ლენინის შესახებ სწერდა.

„მისი უღმობელი, მკაცრი ლოლიკა უსათუოდ ფარავდა უნახეს გულს, ვინაიდან კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, რომ ხალხი ისე დასტიროდეს თავის ბელადს, რომ არ გრძნობდეს მისადმი სიყვარულს.

ვინ მოსთვლის რამდენი ამისი მკვავისი მოსაზრებები გამოთქმულა


ლენინის შესახებ მსოფლიოში. ბევრი მათგანი გულწრფელად სწერდენ იმას, რასაც გრძნობდნენ ოქტომბრის რევოლუციის გავლენით, განა ბურჟუაზიულ კულტურის ერთმა და ორმა წარმომადგენელმა იცნოს საბჭოთა ქვეყნის სინამდვილე, როგორც კაცობრიობის ნამდვილ კულტურის საშობლო?

საკმარისია ისეთი მსოფლიო მნიშვნელობის სახელების დასახელება, როგორცაა, ან. ფრანსი, ბერნარდ შოლ, რომენ, როლანი, თეოდორ დრაიზერი, ებტონ სინკლერი, რომ აშკარა გახდეს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელობის სიდიადე.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი ქვეყანა წავიდა წინგრანდიზული ნაბიჯებით. ამ ხნის განმავლობაში მან შეიძინა კიდევ უფრო უძვირფასესი მეგობრები, კულტურული კაცობრიობის მრავალი გამოჩენილი ადამიანები.

ბერნარდ შოლმ მთელ მსოფლიოს გასაგონაო განაცხადა: „თანამედროვე ბურჟუაზიის პოლიტიკური მოღვაწეები პიგმეები და სტალინი კი გიგანტიაო“.

ლენინის სახელი ყოველთვის იზიდავდა მსოფლიო პოლიტიკურ მოღვაწეების ყურადღებას, განსაკუთრებით მისი გარდაცვალების დროს, როცა მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ როგორ შესძრა ამ პიროვნების გარდაცვალებამ მთელი საბჭოთა მშრომელები; დაამწყურბრა ისინი და კიდევ უფრო შეამძიდროვა იმ პარტიის გარშემო, რომელიც ლენინის სახელს ატარებს და რომელსაც ახლა მტკიცედ ხელმძღვანელობს ლენინის საქმის გენიალური გამგრძელებელი, დიდი სტალინი.




ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტის 12 ათასმა ოფიცერმა შეიტანა პარლამენტში პეტიცია, სადაც ისინი მოითხოვენ მდიდრეობის გაუმჯობესებას. პეტიციას თავიანთი ხელისმომწერა მიუმატა კიდევ 10.600 კერძო პირმა. სურათზე: ოფიცერთა დელეგაცია, რომელსაც მიჰქვს პეტიცია პარლამენტში: გემი, რომელსაც ტემზით მიჰყავს დელეგაცია დამშვენებული პლაკატით, რომელზედაც აწერია: „სავაჭრო ფლოტმა 12.000 ოფიცრის პეტიცია პარლამენტს“.

ზანუ ფრინავებს (მაოცხნით) გუბერტს და პოუელს (მარჯვენით) გადაწყვეტილი აქვთ გაფრინდნენ ნიუ-იორკიდან ოკეანის გადაღმა აბისინიაში

რუმინეთში მოჰკლავ პრემიერ-მინისტრი

იწვლის სავაჭრო საქმეთა მინისტრის ახალი შემხედრა მუსოლინთან



რუმინეთში ფაშისტმა სტუდენტმა მოჰკლა პრემიერ-მინისტრი, დუკა, როგორც გამოირკვა ფაშისტურ ორგანიზაციას „რკინის გვარდია“-ს რომლის წევრიც აღმოჩნდა შეკვლეული, დახმარებას უწევდნენ გერმანელი ფაშისტები და უგზავნიან სუფსიდიებს. სურათზე: გენერალ კანტუსინო (მარცხნივ) „რკინის გვარდიის“ უფროსი, აშუამდ დუკას მეკვლელობასთან დაკავშირებით დაპატიმრებულია.

სურათზე: ოსტში მუსოლინთან მოსალაბა რაკეტულად პილოტაჟით ჩამოფრინდა ინგლისის სავაჭრო საქმეთა მინისტრი ჯონ საიმონი

ამს. ნ. ორჯონიძის სახ. მარხანა



„სამ. ჩაიჩ“ საბავოთა მშრომლის
მომრგ უბანზე გრძინვალედ ჩაა-
ბარა ჩაის ფოთლის აკრევა



ამს. ნ. ორჯონიძის სახ. მარხანა
სელის წითელ დათაში მე-17 პარტიკ
ლობის საჩუქრად გემის გარეშე ფა-
რთე მოხმარების მთელ რიგ საქონლის დამზადების პროცესში.
ფოტო: ბუდეშკი

სურათზე: ჩაის ფოთლის საუკეთესო მკრე
ფაზე დამკრეელი ქალი ამს. კოხარევა.

სამრგვველო ტარტი № 1 ახალ-
დასოვი

ბრანსკორტის დამკრეელი

საუკეთესო დამკრეელი



მელიქ იწონის 120 კილოგ. ერთი წლის
განმავლ. დაყარა 36 გოკი.

სადგურ ტფილისის ერთ-ერთი საუკეთესო
ძველი დააკრეელი ამს. რჩედლოშვილი,
რომელიც ორჯონი დავილიდობულია მატა-
რებების კატასტროფის აცილებსათვის.

სურათზე: ამს. კალინინის სახ. ქარხნის სა-
მკედლო რეზის საუკეთესო დამკრეელი მუ-
შა, პარტიის წევრი, აქტივისტი, საზოგადო
მუშაი ამს. სარქიხივი, რომელმაც 120
პროც. შეასრულა გეგმა

შინაარსი: 1. ლენინის აკლამასთან —
ირ. აბაშიძე, 2. მეცხრე ყრილობა, 3. ლე-
ნინს—ბ. შუჩიშვილი, 4. ლენინის ცხოვ-
რების მათიანე, 5. ორი თავდასხმა ლენინ-

ზე—ალ. სულავა, 6. კვალა—ნომ ზომ-
ლმითელი, 7. ლენინი და ახალგაზრდათა
მომხრობა—მრ. ასტვაცატურკოვნი, 8.

ლენინიადის შექმნისათვის — ალი არსე-
ნიშვილი, 9. ლენინი და ბურჟუაზიული
მოღვაწეობა—მ. გ—ია.